საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 44 (1060) პარასკევი, 21 აპრილი, 1995 წელი. ფასი 200 000 კუპონი.

ამერიკელი ენერგეტიკოსები საქართველოში

საქართველოსადმი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კეთილგანწყობისა და ორ ქვეყანას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის საიმედო პერსპექტივის მორიგი დასტური იყო ამერიკელ ენერგეტიკოსთა ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში. დელეგაცია ამერიკის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის უილიამ ჰ. უაიტის ხელმძღვანელობით 19 აპრილს ეწვია თბილისს. მის შემადგენლობაში იყვნენ ამერიკის კონგრესის, სახელმწიფო დეპარტამენტის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლები.

• • •

20 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს დელეგაციის ხელმძღვანელი უილიამ უაიტი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

პირისპირ საუბრის შემდეგ გაიმართა გაფართოებული შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ამერიკის დელეგაციის წევრები და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები.

შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს ენერგეტიკის სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობის პერსპექტივის შესახებ. განისაზღვრა კონკრეტული გეგმა. მისი განხორციელებისათვის სათანადო პირობების უზრუნველსაყოფად და თანამშრომლობის პროცესის ორგანიზაციისათვის ორივე მხარემ გამოყო კონკრეტული პირები.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის, შესაძლებლობები. განიხილეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს კასპიის ზღვის აუზიდან ნავთობსადენის საქართველოს ტერიტორიაზე გატარებას.

— საუბარი ამერიკელ პარტნიორებთან შეეხო საქართველოს ენერგეტიკას, მის რესურსებს, — განაცხადა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შეხვედრის შემდეგ პრესისათვის გაკეთებულ მოკლე განცხადებაში, — ჩვენს თანამშრომლობას ამ სფეროში უაღრესად კარგი პერსპექტივა აქვს. განვიხილეთ, აგრეთვე, საკითხი აზერბაიჯანიდან ნავთობსადენის საქართველოზე გაყვანის თაობაზე, თუმცა, ამაზე, ჯერჯერობით, დაბეჯითებით, ვერაფერს ვიტყვით, რადგან არსებობს სხვა ვარიანტებიც.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს, პირადად ბატონ უაიტს, საქართველოსათვის გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

— ჩვენ კარგად გვესმის, — თქვა ბატონმა უილიამ ჰ. უაიტმა, — რომ საქართველოს მოქალაქეებისათვის ეს პერიოდი, როცა თქვენმა მშვენიერმა ქვეყანამ დამოუკიდებლობას მიაღწია, მძიმე და სირთულეებით აღსავსე პერიოდია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აქვს ენერგოსექტორის განვითარების შესანიშნავი პოტენციალი, იქნება ეს ჰიდროელექტრორესურსები, ქარის რესურსები თუ სხვა. ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო გამოყოფს სახსრებს, რათა საქართველოს მოსახლეობას შეუქმნას ხელშემწყობი პირობები იმისათვის, რომ მან ელექტროენერგია გაცილებით დაბალ ფასებში მიიღოს. ჩვენ, აგრეთვე ვისაუბრეთ იმ პერსპექტივაზე, რომელსაც შეიძლება მივაღწიოთ შემდგომი პარტნიორობის პირობებში. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორია არჩეული იქნება კასპიის ზღვიდან ნავთობის ტრანსპორტირებისათვის, საქართველო მიიღებს დამატებით შემოსავალს, თქვენს ქვეყანაში შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები. ბატონმა სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ქართული მხარე მაქსიმალურად შეეცდება გადალახოს ყველა წინააღმდეგობა, რომელიც ამ პროექტის ხორციელებას შეიძლება შეექმნას.

• • •

ამერიკის დელეგაციისა და ქართველ ექსპერტთა კონსულტაციები გაგრძელდა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ოთარ ფაცაციასთან. შეხვედრაზე ასევე განიხილეს ენერგეტიკის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები.

იმავე დღეს მინისტრთა კაბინეტში ამერიკელ ენერგეტიკოსთა დელეგაციამ ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც განმარტეს ვიზიტის დროს განხილული კონკრეტული საკითხები.

კითხვაზე, იმოქმედებს თუ არა საქართველოსადმი ამერიკის დამოკიდებულებაზე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგება, დელეგაციის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ ვერავითარ კავშირს ვერ ხედავს ამ ორ საკითხს შორის.

რაც შეეხება კითხვას, ნავთობსადენის გაყვანის არსებული რამდენიმე ვარიანტიდან თუ რომელს მიანიჭებს უპირატესობას ამერიკა, ბატონმა უილიამ უაიტმა განაცხადა: ამერიკა მხარს დაუჭერს იმ ქვეყანას, რომელიც უზრუნველყოფს ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე დროულ გატანას და ამ პროცესისათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობების შექმნას. საქართველოს აქვს გარკვეული უპირატესობა და ჩვენ ახლა ვამუშავებთ სტრატეგიულ გეგმას, რათა თქვენმა ქვეყანამ მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები.

პრესკონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია და ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი.

• • •

იმავე დღეს ამერიკელ ენერგეტიკოსთა დელეგაცია ერევანს გაემგზავრა.

საქინფორმი.

სურათზე: სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრის დროს.

ვლადიმერ ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

აქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

მ. ლებანიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ტი მურმან ლებანიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 20 აპრილი.

ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი:

„საქართველოს დიდი მომავალი აქვს“

20 აპრილს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი, მისი აღმატებულება ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი, თანმხლებ პირებთან ერთად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. მათთან ერთად უნივერსიტეტს ესტუმრნენ პრეზიდენტის მეუღლე და ქალიშვილი, ასევე ქალბატონი ნანული შევარდნაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე რექტორმა როინ მეტრეველმა მისალმებისას ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის ამჟამინდელ ვიზიტს ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ კი, უნივერსიტეტში სტუმრობას, სადაც ირანისტიკის ძლიერი სკოლა არსებობს. ჩვენთვის ცნობილია, — თქვა რექტორმა, — ის დიდი ღვაწლი, რომელიც ბატონ პრეზიდენტს შეაქვს ირანის სამეცნიერო ცენტრების გახსნასა და დაფინანსებაში, საერთოდ განათლების განვითარებაში.

საპატიო სტუმარს მოახსენეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პედაგოგიურ უნივერსიტეტში ისწავლება სპარსეთის ისტორია, სპარსული ენა და კულტურა. გარდა უნივერსიტეტისა, ამ დარგებს იკვლევენ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — განაცხადა შემდეგ ბატონმა როინ მეტრეველმა, — მზად არის ითანამშრომლოს ირანის უმაღლეს სასწავლებლებთან. სამეცნიერო და საგანმანათლებლო კონტაქტების დიდი გზები გვესახება. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს ამ სურვილს რეალური საფუძველი ექნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჰყავს პარტნიორები და ვფიქრობთ, ირანშიც შევიძენთ ახალ მეგობრებს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს 1995 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით, ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტს ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის მიენიჭა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება.

ბატონმა როინ მეტრეველმა მის აღმატებულებას, ირანის პრეზიდენტს გადასცა საპატიო დოქტორის დიპლომი და ძღვნად მიართვა მხატვრული ნაწარმოები, რომელზეც აღბეჭდილია თბილისის ერთ-ერთი ძველი უბანი.

საპატიო სტუმარს სპარსულ ენაზე მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი ალექსანდრე გვახარია, პროფესორი თენგიზ კეშელავა, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული განყოფილების მე-4 კურსის სტუდენტი გიორგი სახლთხუციშვილი.

— დიდ მადლობას მოვახსენებ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სამეცნიერო საბჭოს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც დიდი პატივი დამდეს, — განაცხადა საპასუხო სიტყვაში მისმა აღმატებულებამ ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანიმ. — ჩემთვის დაუვიწყარი და მართლაც ისტორიულია ის წუთები და საათები, რომლებიც უნივერსიტეტში დავყავი, ამდენი სითბო და სიყვარული შევიგრძენი. ის, რაც სულიდან ამოდის, გულსავე ჩაეხუტება.



როცა ირანის საზოგადოებრიობა აქ გადაღებულ კადრებში ნახავს დამოუკიდებელი საქართველოს დამოუკიდებელ ხალხს, დარწმუნებული ვარ, გაიხარებს. მთელი ის პერიოდი, რაც საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაკარგა, არც ირანისთვის იყო მარტივი, იმ შესანიშნავ მოვლენათაგან, რომლებიც ამ ბოლო ხანებში მოხდა, ირანის საზოგადოებრიობისათვის მნიშვნელოვანია ცენტრალური აზიის ხალხების, აზერბაიჯანისა და, კერძოდ, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. ჩვენი საგარეო პოლიტიკის სისტემაში პრიორიტეტული მიმართულებაა ცენტრალური აზიისა და კავკასიის რესპუბლიკებთან თანამშრომლობა, მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის აღდგენა.

ყველა დარგი, ყველა სტრუქტურა უნდა ამოქმედდეს იმისათვის, რომ განვავითაროთ უმაღლესი სასწავლებლების, უნივერსიტეტების თანამშრომლობა. ირანში დაბეჯითებით მხარდაჭერას პოვებს ამგვარი ურთიერთობის დამყარების სურვილი, განსაკუთრებით, თბილისის უნივერსიტეტთან. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ეს ურთიერთობა, კეთილად მოვუაროთ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილ საერთო ფასეულობებს, შევუნახოთ მომავალ თაობებს.

ვიზიტის დროს ჩვენ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწევთ სხვადასხვა დარგში თანამშრომლობაში. თქვენს სახელმწიფოს მეთაურთან ერთად, რომელიც ამ პროცესს ხელმძღვანელობს, მივიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებებს, სადაც სათანადო ასახვას პოვებს სამეცნიერო ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც.

ამ აუდიტორიაში შეკრებილთა სახით მინდა მივმართო ქართველ ხალხს: დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვება დიდ საფასურს მოითხოვს, ქართველმა ხალხმა უნდა გაიღოს ეს საფასური, რათა საწადელს მიაღწიოს.

ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგდროინდელ პერიოდში ჩვენ ძალიან რთული და მძიმე ეტაპები გავიარეთ. დღეს თითქმის ყველა პრობლემას საკუთარი ძალებით ვწყვეტთ და ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს. ხატოვნად რომ ვთქვათ, ყოველ საღამოს, გარკვეული დარგის თვალსაზრისით, დამოკიდებულება უცხოეთის ქვეყნებზე მცირდება.

თქვენი ქვეყანა, ისე როგორც ირანი, მდიდარია სხვადასხვა რესურსით და მას დიდი მომავალი აქვს. საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი მდებარეობა უკავია რეგიონში.

დიდად მადლიერი ვარ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა, რომლებიც ირანისტიკის დარგში მოღვაწეობენ. მათ საქმიანობას და აქტიურობას სერიოზული მხარდაჭერა ექნება ირანში. მე მათ ყველას ვიწვევ ჩვენს ქვეყანაში. ამგვარ ურთიერთობას ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

დასასრულ ირანის პრეზიდენტმა განაცხადა:

— როგორც ძალიან მაღალ ჯილდოს, ისე აღვიქვამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომს და როგორც უძვირფასეს საჩუქარს წავიღებ ირანში და სათუთად შევინახავ.

უნივერსიტეტის თაღებქვეშ აჟღერებულმა ქართულმა „მრავალჟამიერმა“ დააგვირგვინა დიდი სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელმაც ქართულ-ირანული კულტურული ურთიერთობის მატიანეში ახალი ფურცელი ჩაწერა.

საპატიო სტუმარმა დაათვალიერა ქართულ-ირანული ურთიერთობის ამსახველი გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ქართველ ირანისტთა შრომები.

უნივერსიტეტში შეხვედრის შემდეგ ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი, თანმხლებ პირებთან ერთად, ეწვია თბილისის მეჩეთს, სადაც აღასრულა მუსლიმანური რელიგიური რიტუალი.

ირანის პრეზიდენტმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა მეჩეთი, რომელიც მეშვიდე საუკუნეში დაარსდა და დიდი ტრადიციები აქვს, დაინტერესდა მისი ისტორიით.

მისი აღმატებულება ირანის პრეზიდენტი ესაუბრა თბილისის მუსლიმანთა სულიერ ხელმძღვანელს, რომელმაც საპატიო სტუმარს გააცნო თბილისის მუსლიმანთა საქმიანობა. პრეზიდენტი გაესაუბრა, აგრეთვე, რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად მარნეულისა და გარდაბნის რაიონებიდან ჩამოსულ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს. პრეზიდენტმა დალოცა ისინი და წარმატება უსურვა სწავლასა და პირად ცხოვრებაში.

იმავე დღეს, ნაშუადღევს, ირანის პრეზიდენტი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი და საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე თანმხლებ პირებთან ერთად დასავლეთ საქართველოში გაემგზავრნენ. მათ დაათვალიერეს ფოთის ნავსადგური, გაეცნენ მისი რეკონსტრუქციის პერსპექტივებს. შემდეგ მანქანების კორტეჟი ჩავიდა ქობულეთში, სადაც ირანის პრეზიდენტსა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს დახვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე. ბატონებმა რაფსანჯანიმ და ედუარდ შევარდნაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა დაათვალიერეს ბათუმის ნავსადგურის აკვატორია, ქალაქის ღირსშესანიშნაობები, ჩაქვში ეწვივნენ ჯემალ ფაღავას ოჯახს, სადაც საპატიო სტუმარი გაეცნო ქართველი კაცის ცხოვრებასა და ყოფას.

სურათებზე: ბატონი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ბატონი ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანი თბილისის მეჩეთში ნამაზის შესრულებისას.

გივი კიკვაძისა და **გიორგი შარაშენიძის** ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისის მეტროპოლიტენი— „გინესის რეკორდების წიგნში!“

ფრაგმენტები მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსის, ბატონ გურამ გაგუნიასა და „მიწისქვეშა ექსპრესის“ ბედით დაინტერესებული ჟურნალისტის გულახდილი საუბრიდან

...პურს, გაზს, ელექტროენერგიას „თქვენობით“ ველაპარაკოთო, საწვავს (ბენზინი, „სალიარკა“, ნავთი) ხომ მთლად „მოუოხეთ ბატონებო“, ცივი ნიავი არ მიაკაროთო... ჩვენც ხელაპყრობილნი ვდგავართ და ვიმეორებთ: ამისთვისაც გმადლობთ, უფალო!.. მეტროპოლიტენმა რა დააშავა?..

ძველი საძირკვლის ანგარიშმიუცემლად ნგრევამ, პოლიტიკისა და ეკონომიკის კომპეტენტურ დარგებში არაკომპეტენტური ხალხის მომძლავრებამ, საყოველთაო კორუფციამ, ძარცვა-გლეჯამ, მექრთამეობამ, აგრერიგად აღიარებული საბაზრო ეკონომიკა ძირშივე დაამახინჯა, დააბეჩავა და ქვეყნის დამანგრეველ-გამპარტახებელ ძალად აქცია. ხალხმა საარსებო საშუალება დაკარგა, ზნეობაც, სრულიად ბუნებრივია, ზედ მიაყოლა, რადგან არსებობისათვის იმ ფორმით ბრძოლას, როგორიც დღეს საქართველოშია, ზნეობა არ ესაჭიროება... „მგელი უნდა იყო და მგელზედ უფრო მგელი. თუ საჭიროა, უნდა მოატყუო კიდეც, თუ საჭიროა, უნდა მოიპარო კიდეც, თუ საჭიროა უნდა მოკლა კიდეც...“ და გვატყუებენ, გვპარავენ, გვკლავენ — მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მომავალს ეს სრულებითაც აღარ სჭირდება.

უზნეობა „ზემოთ“, უზნეობა „ქვემოთ“, უზნეობა ქუჩაში, დუქანში, ბაზარში, ავტობუსში, მეტროში...

— სანამ ვაგონებს არ დაცლით, მატარებელი ჩიხში არ შევა!

— არ შევა და ნუ შევა... აი, დარდი!

— კარები დამიკეტვინეთ, ყველანი ვერ შეეტევით, მომდევნო მატარებელს დაელოდეთ...

— მიაწექი, მიაწექი, კარები არ გაუშვა, როგორმე შევიდეთ, გვაგვიანდება!..

(მკითხველი მიმიხვდება — ვცდილობ მისაღები ლექსიკით ვილაპარაკო, თორემ იქ სიტყვები ისმის, ყურო, ნუ გაიგონებ).

დღე ერთია და, თბილისის მეტროპოლიტენში 100-ჯერ მაინც მოისმენ მსგავს დიალოგს. ქალაქში თითქმის 10 პროცენტის დატვირთვითაც არ მუშაობს ფაბრიკა-ქარხნები, დაწესებულებები, სამაგიეროდ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, სრული დატვირთვით მუშაობს მეტრო. ის თითო-ოროლა გამონაკლისიც სხვისი მიზეზით ხდება. მსოფლიოს ქალაქებში, სადაც მეტროპოლიტენი არსებობს, მგზავრთა ნაკადის მაქსიმუმ 50-55 პროცენტი გადაჰყავს მიწისქვეშა მატარებლებს, თბილისის მეტროს ხვედრითი წილი კი 92-94 პროცენტს უდრის. ეს გინესის რეკორდების წიგნში შესატანი მაჩვენებელია...

მართალია, ხალხს ძალიან უჭირს, დედაქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას მეტროს იქით გზა არა აქვს, საკმაო ნაწილს თვით მეტროში მგზავრობის საფასურის გადასახდელი კუპონიც არ გააჩნია, მაგრამ ელემენტარული წესრიგი თუ ვერ დავიცავით, თუ მგზავრებმა ერთმანეთს მკაცრად არ მოვკითხეთ, მეტრო გაჩერდება!

ჩვენი გაზეთი ამ საყოველთაო პრობლემის შესახებ ექვსიოდე თვის წინათაც წერდა, მას შემდეგ მდგომარეობა ოდნავ სასიკეთოდ კი შეიცვალა, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია.

ვინც მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის, კიევის, ბაქოს ან ერევნის მეტროპოლიტენში ყოფილა, დამერწმუნება, რომ იქ ისეთ ფაქტებს, როგორიც თბილისში ხდება, სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. მართალაცდა, სად გაგონილა ჩიხში შემავალ მატარებელს მგზავრები მიჰყვებოდნენ?, დაკეტილ კარებს ძალით იჭერდნენ?, ვაგონებს შორის ღია სივრცეში დგებოდნენ? (დიახ, დიახ, თბილისში ზოგჯერ ასეც ხდება) და ათასობით მგზავრის სიცოცხლეს, საკუთარს რომ თავი დავანებოთ, საფრთხეში აგდებდნენ?

ყველგან, ბუნებრივია, მათ შორის თბილისშიც, მეტროპოლიტენს მოძრაობის მკაცრი გრაფიკი აქვს. სადგურებში შემადგენლობა 30-35 წამით უნდა შეჩერდეს. ხალხი თუ ერთმანეთს პატივს სცემს და ელემენტარულ წესრიგს იცავს, ეს დრო საკმარისია იმისათვის, რომ ჩამომსვლელი ჩავიდეს და შემომსვლელი შემოვიდეს. ჩვენთან მატარებლები ხშირად 2-3 წუთს დგანან და ელოდებიან როდის დამთავრდება მგზავრთა შეხლა-შემოხლა და როდის ინებებენ კარების დაკეტვას... ერთი მატარებლის დაგვიანება, ბუნებრივია, სხვა შემადგენლობის დაგვიანებას იწვევს და რამდენიმე წუთში ისე ირევა გრაფიკი, მის დალაგებას ზოგჯერ ნახევარი დღე სჭირდება.

სწორედ მგზავრთა უწესრიგობა გახლავთ იმის უმთავრესი მიზეზი, რომ ბოლო ხანს თბილისის მეტროპოლიტენში მატარებლების მოძრაობის ინტერვალი ასე გაიზარდა.

მეორე, არანაკლებ მთავარი მიზეზი ელექტროენერგიით ცუდი მომარაგება არის. თბილისის მეტროპოლიტენი აქაც სამწუხარო გამონაკლისია. ძაბვის სიხშირე 50 ჰერცის ნაცვლად 45-ს ქვემოთაც კი ჩამოდის. საერთოდ კი, თუ გვინდა მეტროპოლიტენის უნიკალური ტექნიკური მოწყობილობა მწყობრიდან არ გამოვიდეს, ძაბვა 48 ჰერცს ქვემოთ არ უნდა იყოს.

...ერთი საინტერესო ფაქტი: ამ ცოტა ხნის წინათ, კიევის მეტროპოლიტენის მუშაკებმა პროტესტი გამოთქვეს და მუშაობა ლამის შეწყვიტეს სისტემაში ელექტროენერგიის სიხშირის 1 ერთეულით, ე. ი. 49 ჰერცამდე დაცემის გამო. უკრაინის დედაქალაქში, რა თქმა უნდა, ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის დონეზე, ერთი ამბავი ამტყდარა, გამოსავალიც უპოვნიათ და მას შემდეგ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორებულა.

თუ სიხშირის ვარდნა ასე გამანადგურებლად მოქმედებს მეტროპოლიტენზე მაშ, საქენერგოს მიერ მოწოდებული საოცრად არასტაბილური დენის პირობებში, საერთოდ როგორ მუშაობს თბილისის მეტრო?

ფაქტი მეორე, თითოეული ქართველისათვის სასიამოვნო და საამაყო: **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის** პროფესორ-მასწავლებლებმა და თბილისის მეტროპოლიტენის სპეციალისტებმა, ამ გაჭირვების ჟამს, დაამუშავეს სტაბილური სიხშირისა და ძაბვის უნივერსალური კვების წყარო, რითაც ელექტროენერგიის არასტანდარტული სიხშირის პირობებში პრაქტიკულად გადაწყდა მეტროპოლიტენის უნიკალური ავტომატურ მოწყობილობათა მუშაობის პრობლემა. ახლა თბილისის მეტროში ძაბვის სიხშირე ხშირად არის 48, 44, 45 ჰერცი, მაგრამ მეტრო მაინც მუშაობს. ეს იმ მეცნიერებისა და სპეციალისტების დამსახურებაა, რომელთაც ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი მერაბ გოცაძე ხელმძღვანელობდა. როგორც იტყვიან, პატივი და დიდება მათ...

ღმერთმა ინებოს, ისეთი უნიკალური ტრანსფორმატორებიც შექმნათ, რომლებიც საქენერგოს მთელ სისტემაში, აცა-ბაცად შემავალი დენის რეგულირებას შეძლებს, თორემ რესპუბლიკის ზოგიერთი დიდი საწარმოს ხელმძღვანელი საქენერგოს ემუქრება კიდეც: რა ვალი, რის ვალი, აქეთ გადამიხადეთ მილიარდობით კუპონი არასტაბილური ენერგიის მოწოდების გამო... საქმეში ჩახედულმა კაცმა იცის, რომ, სამწუხაროდ, დიდი სურვილის მიუხედავად, საქენერგოსა და თელასს ობიექტურად არ ძალუძს ამ გლობალური პრობლემის მოწესრიგება, ეს ცალკე მსჯელობის თემაა და ამის შესახებ სხვა დროს. ახლა კი ისევ მეტროპოლიტენს მივუბრუნდეთ.

...ზოგჯერ 70-80 კმ-ით მიმავალი მატარებელი ერთბაშად დამუხრუჭდება. ფეხზე მდგარი მგზავრები ერთმანეთს შეასკდებიან და მემანქანეს ცოცხალ-მკვდარს აგინებენ... არადა, ეს უცაბედი მუხრუჭიც ძაბვის უცაბედი ვარდნის შედეგია, როგორც კი მეტროპოლიტენის შუქნიშნები ძაბვის ვარდნის გამო გამოირთვება, დამუხრუჭება ავტომატურად ხდება და საწყალი მემანქანე არაფერ შუაშია. საკმარისია რამდენიმე ასეთი დამუხრუჭება, რომ დატვირთული მატარე-

(დასასრული მე-2 გვ.)

მერვე სვეტი

გაეცნენ დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებას

ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, ალი აქბარ ჰაშემი-რაფსანჯანის მეუღლე ქალბატონი ეფათ რაფსანჯანი და ქალიშვილი ფაეზე რაფსანჯანი, ქალბატონი ნანული შევარდნაძე, მათი თანმხლები პირები ეწვივნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმს. სტუმრები ინტერესით გაეცნენ დიდი შემოქმედის ფერწერულ ტილოებს, გრაფიკულ ნამუშევრებს.

იმავე დღეს ისლამური ქვეყნების ქალთა სპორტული სოლიდარობის საბჭოს თავმჯდომარე ფაეზე რაფსანჯანი ესტუმრა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს. მისმა თავმჯდომარემ ნონა გაფრინდაშვილმა სტუმარს მოუთხრო ქართველი სპორტსმენების მიღწევების შესახებ. შეხვედრის დასასრულს ნონა გაფრინდაშვილმა მის ირანელ კოლეგას სამახსოვრო სუვენირები გადასცა.

დღის მეორე ნახევარში ირანელი სტუმრები გულთბილად მიიღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში, სადაც ნორჩებმა მათ თავიანთი ხელოვნება აჩვენეს.

„იფრინდას“ ლენტიდან

სამშობლოში დაბრუნდა

ბაქო. 19 აპრილს, ღამით ბრიუსელიდან ბაქოში დაბრუნდა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰ. ალიევი. აეროპორტში გამართულ იმპროვიზებულ პრესკონფერენციაზე ალიევმა განაცხადა, რომ კმაყოფილია ვიზიტის შედეგებით; შეხვდა ევროკავშირის წარმომადგენლებს, რომლებმაც პრინციპული თანხმობა გამოთქვეს დაეხმარონ აზერბაიჯანს.

შეხვედრა ჟურნალისტებთან

ბაქო. 18 აპრილს, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან ჰასანოვმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას დადებითად შეაფასა სომხეთის პრეზიდენტის განცხადება, რომელიც მან ბულგარეთში გააკეთა (საქმე ეხებოდა აზერბაიჯანის მიერ ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, რომლის საპასუხოდაც სომხეთი დატოვებს აზერბაიჯანის ტერიტორიას).

პაოლო იაშვილის დაბადების 100 წლისთავი

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ გამოსცა განკარგულება, რომელშიც აღნიშნულია, რომ მიღებულია საქართველოს მწერალთა კავშირის წინადადება და 1995 წელს აღინიშნება გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პაოლო იაშვილის დაბადების 100 წლისთავი.

განკარგულების თანახმად, საჩხერის რაიონის გამგეობას ეთხოვა შეძლო დახმარება გაუწიოს სოფელ არგვეთში პაოლო იაშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოების განხორციელებას.

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაცია და საქართველოს რესპუბლიკის საგამომცემლო-საინფორმაციო კორპორაცია ფართოდ გააშუქებენ პაოლო იაშვილის 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებებს.

პაოლო იაშვილის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა მოწყობის ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გურამ ფანჯიკიძეს.

თბილისის მეტროპოლიტენი — „გინესის რეკორდების წიგნში!"

(დასასრული)

ბლების გოგორწყვილები მწყობრიდან გამოვიდეს და სერიოზული სარემონტო გახდეს. ამ ზამთარს ყოფილა შემთხვევა, ერთ დღეში (სწორედ ამ მიზეზით) 4-5 შემადგენლობა გამოსულა მწყობრიდან და წელათრეული შესულა ჩიხში, ჩიხიდან დეპოში...

რემონტი დღეს, მოგეხსენებათ, რა ღირს. თბილისის მეტროპოლიტენი ყოფილი კავშირის 300 ქარხანასთან იყო დაკავშირებული. გასაგები მიზეზების გამო, ეს კავშირები გაწყდა. მართალია, საქართველოს რამდენიმე საწარმომ (თბილისის საავიაციოთი დაწყებული, ქუთაისის საავტომობილოთი დამთავრებული), მშვენივრად აითვისა მეტროპოლიტენისათვის აუცილებელი სათადარიგო ნაწილების გამოშვება, მაგრამ ეს ჯერ სრულებითაც არ არის საკმარისი... იმ 20 მილიარდი რუბლიდან, რომელიც რუსეთის მთავრობამ საქართველოს კრედიტის სახით გამოუყო, 1 მილიარდი სახელმწიფოს მეთაურის უშუალო ინიციატივითა და მინისტრთა კაბინეტის მხარდაჭერით, მეტროპოლიტენს დაეთმო: ამ თანხით რუსეთში უკვე შეიძინეს სათადარიგო ნაწილები. 100 ტონა უნიკალური ტვირთი მოსკოვში აწყვია, 50 ტონა — სანკტ-პეტერბურგში. თუ რესპუბლიკის საბაჟოსა და გადაზიდვის სამსახურის ხელმძღვანელები მხარში ამოუდგებიან მეტროპოლიტენის მუშაკებს, ტვირთის ჩამოტანა დაჩქარდება და, შესაბამისად, მგზავრთა მომსახურების დონეც ამაღლდება.

აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ **თბილისის მეტროპოლიტენს მსოფლიო ბანკმა უკვე გამოუყო 100.000 დოლარი. მიღწეულია პრინციპული შეთანხმება (რა თქმა უნდა, ისევ რესპუბლიკის ხელმძღვანელის რუდუნებით), რომ მალე კიდევ მიიღებენ 8 მილიონი დოლარის დახმარებას. ასე რომ, იმედი არის, მეტროპოლიტენის გადარჩენის იმედი არის... ცოტა უკან თუ გავიხედავთ, იქაც საოცარი თანადგომის სურათს დავინახავთ. ორიოდე წლის წინ რესპუბლიკის მაშინდელმა მთავრობამ მეტროს კრედიტის სახით გამოუყო 400 მილიონი რუბლი (მაშინ რუბლი ფასობდა), რომლითაც მეტროში გაკეთდა ახალი სადისპეტჩერო, ახალი ავტომატური სატელეფონო სადგური და სხვა.**

ახლახან საქართველოს მთავრობამ გამოსცა სპეციალური გადაწყვეტილება 15 მაისიდან მეტროპოლიტენში მოწმობებით მგზავრობის მოწესრიგების შესახებ. საქმე ეხება ათეულ ათასობით მგზავრს, რომლებიც შეღავათით სარგებლობს (ან არ სარგებლობს) და უფასოდ ჩადის მეტროში. **სადღეისოდ თბილისის მეტროს დღეში გადაჰყავს 500 000-ზე მეტი მგზავრი. აქედან თითქმის ნახევარი (დიახ, დიახ, თითქმის ნახევარი!) უფასოდ მგზავრობს.** მთავრობის გადაწყვეტილებას, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. უმრავლესობამ ისე გაიგო, რომ უფასოდ მგზავრობის შეღავათები საერთოდ იხსნებოდა. ამ გადაწყვეტილებაში მსგავსი არაფერი წერია. უბრალოდ, უფასოდ მგზავრობის მექანიზმი უნდა მოწესრიგდეს. ყველას არ უნდა ჰქონდეს უფლება, ნებისმიერი წიგნაკით, მათ შორის ყალბი, ქსეროქსზე გადაღებული წიგნაკებით, უფასოდ იმგზავროს. ორგანიზაციებს, რომელთაც თავიანთი თანამშრომლების უფასოდ გადაადგილება სურთ, დაფინანსების სათანადო წყარო უნდა მიუთითონ და მეტროპოლიტენს თანხა ჩაურიცხონ. დარჩება მგზავრთა გარკვეული კატეგორია, — ომის ვეტერანები, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილენი, პოლიციის, დაზვერვის და ჯარის ნაწილების მოსამსახურეები, რომლებსაც მთავრობა განუსაზღვრავს შეღავათებს. და რაც მთავარია, ყველა მათგანს ექნება თვით მეტროს მიერ გაცემული მოწმობა, რომელსაც ადვილად შეამოწმებენ.

რაც შეეხება მგზავრებს, საერთო სიდუხჭირის გამო, მეტროს საფასურიც რომ არა აქვთ (მით უფრო კომერციული ავტობუსებისა), ეს ქვეყნის საერთო საზრუნავია და მანამ არ მოწესრიგდება, სანამ საქართველოს საფინანსო პოლიტიკა წელში არ გაიმართება. ყველა გაჭირვებულის ხარჯზე, რა თქმა უნდა, მეტროც არ უნდა გაღატაკდეს! რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ამ პრობლემაზე ინტენსიურად მუშაობს და, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რამდენიმე თვეში რაღაც სასიკეთო გამოჩნდება.

მანამდე კი, თბილისის მეტროპოლიტენს 15 ესკალატორი და რამდენიმე ვაგონ-შემადგენლობა კაპიტალურად გასარემონტებელი აქვს, საქენერგოსთვის, თელასისთვის 600 მილიარდი კუპონი ვალი გადასახდელი აქვს (თვით თელასის ხელმძღვანელთა განმარტებით, ამ თანხამ უკვე ტრილიონ კუპონს მიაღწია!)...

აი, რატომ არის აუცილებელი მეტროპოლიტენში მგზავრობის საფასურის მოწესრიგება. მართალია, მეტროპოლიტენი ყველგან (მათ შორის თბილისშიც) დოტაციური ორგანიზაციაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მგზავრობის ღირებულების მინიმუმი არ ამოიღოს. ჩვენ ვთქვით, რომ ბევრს იმ 50.000 კუპონის გადახდაც უჭირს, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ერთი კაცის გადაყვანა დღეს მეტროპოლიტენს საშუალოდ 120-125 ათასი კუპონი უჯდება.

მიმდინარე წლის იანვრამდე მეტროს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან აფინანსებდნენ, წლეულს ეს მისია ქალაქის მერიის მუნიციპალიტეტს დაეკისრა... ჯერჯერობით, ქალაქის მერია მისთვის განკუთვნილ დოტაციურ თანხებს ვერ პოულობს. მხარდაჭერა არის. იმედია, წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით საკუთარი ბიუჯეტის 100-პროცენტიანი შესრულების შემდეგ ქალაქის მერია უფრო წელგამართული მოიხედავს მეტროპოლიტენისაკენ. თვით მეტროს ხელმძღვანელობაც, მის ტერიტორიაზე განთავსებული საიჯარო ობიექტებისა და რეკლამის შემოსავლებიდან (კვარტალში 13 მილიარდი კუპონი) დოტაციის თანხის შემცირებას ცდილობს... დედაქალაქის მერიაში კარგად იციან, რომ მეტროპოლიტენი ისეთი ძვირადღირებული ტრანსპორტია, მგზავრები ვერასოდეს გადაიხდიან მის რეალურ საფასურს. ამერიკელები, მაგალითად, მეტროში ერთ დოლარს იხდიან, თუმცა ბევრად მეტი ჯდება. მოსკოვში 600 რუბლი ღირს, თუმც, გაზეთ „იზვესტიის" ამასწინანდელი პუბლიკაციის მიხედვით, მგზავრობა 2600 რუბლი ჯდება! რა თქმა უნდა, თბილისი, საქართველო (ისევ გასაგები მიზეზების გამო) ვერცერთს ვერ შეედრება, მაგრამ ხალხისათვის ეს ინფორმაცია მაინც მნიშვნელოვანია... მიუხედავად ჩვენი გაჭირვებისა და ათასგვარი თავსატეხისა, მეტროპოლიტენს, ამ უნიკალურ და უმშვენიერეს ნაგებობას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები, მათ შორის ჩვენი მეზობლები — თურქეთი და ირანი, მხოლოდ ახლა ფიქრობენ მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. თბილისის მეტრო კი უკვე 30 წელიწადია ფუნქციონირებს...

და ბოლოს: ზემოთ ჩვენ მეტროპოლიტენში წესრიგის პრობლემაზე ვისაუბრეთ. არაფერი გვითქვამს მეტროპოლიტენის პოლიციაზე, რომლის უშუალო მოვალეობა მიწისქვეშა ქალაქში სრული სიმშვიდის დამყარება გახლავთ. დღეს მეტროპოლიტენის პოლიციაში 854 კაცი მსახურობს, მათი შენახვა წლეულს მეტროს ბიუჯეტს 260 მილიარდი კუპონი დაუჯდება. ამ თანხაში ყველაფერი შედის — ჩვენს პირობებში საკმაოდ მაღალი ხელფასიდან დაწყებული, პოლიციელის ფორმის შეძენით დამთავრებული. როგორც მეტროს პოლიციის შეფი პოლკოვნიკი ჰამლეტ კობეშავიძე განმარტავს, ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა, იანვრიდან ხელფასებიც საგრძნობლად მოგვემატა და პასუხისმგებლობაც აგვიმაღლდაო.

სხვისა არ ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით მეტროპოლიტენის პოლიციას რომ ბრძოლისუნარიანობა აკლია, ფაქტია. თითო-ოროლა გამონაკლისს გარდა, მეტროპოლიტენის სადგურებში არ იგრძნობა, რომ საერთოდ იქ პოლიცია დგას და სიტუაციას აკონტროლებს. ალბათ, ეს იმის ბრალიცაა, რომ მეტროპოლიტენის პოლიციელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ფორმა არ აცვია და ჩვეულებრივ სამოქალაქო ტანსაცმლით მდგარი წესრიგის დამცველი რაღა პოლიციელია... ჩვენს მეტროპოლიტენში ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცეს სიგარეტის მოწევა, მთვრალ მოქალაქეთა შეუფერხებლად გატარება, უმწიფარი ბიჭებისაგან „მეტროხულიგნობის" ფაქტები — ესკალატორიდან ესკალატორზე გადახტომა, ნათურების, მინების ჩამსხვრევა, მატარებლებს შორის დგომა და ა. შ.

რადგან მეტროპოლიტენი და მისი შემოგარენი მგზავრთა თავშეყრის ცენტრია, რადგან მეტროპოლიტენი ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერიაა, რადგან მეტროპოლიტენი ურთულესი და უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტია, მისი დამცველი პოლიციელი საგანგებოდაც კი უნდა შეირჩეს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ მეტროპოლიტენის პოლიციის პრობლემებს უფრო ხშირად ჩაუღრმავდება დედაქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოსა და თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა.... მეტროში წესრიგის დაცვა სახვათაშორისო კი არა, ერთ-ერთი უპირველესი პრობლემათაგანია. იქ, სადაც პოლიციელი ნამდვილად აქტიურობს, ღირსეულად იქცევა და არა მოჩვენებით ბაქი-ბუქობს, მას ხალხიც მხარს უჭერს და საერთო საქმეც ადვილად გვარდება.

ვიმედოვნებთ, რომ ამ შენიშვნას სწორად გაგვიგებენ და მალე მეტროპოლიტენის პოლიციაც უფრო ფხიზლად დაიცავს მას.

სპარტაკ ქოგულია.

კარიკატურისტის თვალით



— მამი, დედიკო დაგვრჩა ვაგონში!
— უჰ, დამისვენია და ეგ არი!...



— მოქალაქევ, ვინ „დაგაყაჩაღათ?"
— არა, ბატონო, მეტროთი ვიმგზავრე...

ვახტანგ კუციას ნახატები.

რას წერს გერმანული პრესა

შარშან აგვისტოში გერმანიის პრესის ყურადღება მიიპყრო მიუნხენის აეროპორტში მოსკოვიდან მომავალი მგზავრების ბარგში 400-მდე გრამი პლუტონიუმის აღმოჩენამ. ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს ერთი კოლუმბიელი და ორი ესპანელი მგზავრი. მომხდარის გამო ჰელმუტ კოლი ელცინსაც კი ელაპარაკა, სკანდალმა საკმაოდ ფართო მასშტაბი მიიღო. გამოითქვა მოსაზრება, რომ მცირე დოზებით პლუტონიუმის და სხვა მსგავსი ნივთიერებების შემოტანით მზადდებოდა ატომური ბომბის შექმნა. გამოძიებაში, რომლის შედეგადაც 10 მაისს მიუნხენში სასამართლო პროცესი უნდა დაიწყოს, აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის საინფორმაციო სამსახური. გასულ კვირას კი, სრულიად მოულოდნელად, ჟურნალმა „დერ შპიგელმა" გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც იგი თავად საინფორმაციო სამსახურს სდებს ბრალს მიუნხენის აეროპორტში მომხდარი ფაქტის ინსცენირებაში. სამსახურის პრეზიდენტმა პორცნერმა პრესკონფერენცია გამართა თავის შტაბ-ბინაში, სადაც განაცხადა, რომ საინფორმაციო სამსახურმა ამ შემთხვევაში მხოლოდ თავისი როლი შეასრულა, თავისი არხებით გაიგო პლუტონიუმის კონტრაბანდის შესახებ, შეატყობინა ეს პოლიციას და საბაჟოს და ამით ხელი შეუწყო მის აღმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ მთლად გასაგები არ არის, რაში უნდა დასჭირვებოდა საინფორმაციო სამსახურს მსგავსი ამბის ინსცენირება, „შპიგელის" წერილს ძალიან დიდი ექო ჰქონდა, ბუნდესტაგში მწვანეებმა მოითხოვეს სპეციალური სხდომის გამართვა, შეიქმნა საპარლამენტო საკონტროლო კომისია, რომელსაც სადაზვერვო სამსახურის შემოწმება დაევალა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ფრაქციის ლიდერმა პლსიორსტერმა მოითხოვა, რომ საპარლამენტო კომისიამ საერთოდ გააშუქოს გერმანიის საინფორმაციო სამსახურის მუშაობა. გარდა ამისა, ბუნდესტაგის ოპოზიციური პარტიები ახსნა-განმარტებას სთხოვენ ბერნარდ შმიდბაუერს, კოლის აპარატში სახელმწიფო მინისტრს, რომლის უშუალო საკოორდინაციო სფეროში შედის გერმანიის საინფორმაციო სამსახური. ოპოზიციის ლიდერმა შარპინგმა მას ბრალად დასდო გასული წლის აგვისტოში მიუნხენში მომხდარი ფაქტის არასწორად წარმოჩენა და დასვა შეკითხვა, იცოდა თუ არა ამის შესახებ ჰელმუტ კოლმა და რა როლი შეასრულა მან მოვლენების შემდგომ განვითარებაში.

გერმანული გაზეთების ყურადღების ცენტრში ისევ დგას ნატოს გენერალური მდივნის ვილი კლასის წარსულის გამო შექმნილი პოლიტიკური სკანდალის განვითარება. ბელგიის პარლამენტმა კლასის იმუნიტეტის მოქმედება შეწყვიტა (187 ხმით 16-ის წინააღმდეგ) და ამით სამართალდამცავ ორგანოებს გამოძიების საშუალება მისცა (პარლამენტმა იმუნიტეტი შეუწყვიტა ვერტმფრენების შესყიდვის საქმეში გარეულ კიდევ ორ პოლიტიკოსს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს გი კოემს და შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ლუი ტობაკს). პარლამენტმა იმუნიტეტის შეწყვეტას საფუძვლად დაუდო იტალიური ფირმა „აუგუსტას" ყოფილი შეფის ჩვენება, რომელშიც იგი ბელგიის მთავრობის წარმომადგენლებისგან ქრთამის მიღებას ადასტურებს. რამდენიმე წლის წინათ, იმუნიტეტის შეწყვეტიდან ორიოდე საათის შემდეგ, პოლიციამ გაჩხრიკა ვილი კლასის სახლი და ნატოს ოფიციალური რეზიდენცია ბრიუსელში. ბელგიის რადიოს ცნობით, პოლიციას და პროკურატურას კლასის სახლსა და რეზიდენციაში ძირითადად ბანკის ანგარიშების ამონაწერები აინტერესებდათ. თავად კლასმა ჩხრეკის შემდეგ დაადასტურა, რომ პოლიციამ მისი ანგარიშების ნომრები ჩაიწერა. მან აღნიშნა, რომ ჩხრეკა მისი თანხმობით მოეწყო, რადგან იგი თავადაც დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე გაიხსნას ეს სკანდალური საქმე, რომელთანაც მას საერთო არაფერი აქვს. ასევე გაჩხრიკეს ზემოთ ნახსენები ორივე პოლიტიკოსის სახლები. ცნობილია, რომ პოლიციამ ერთ-ერთი სახლიდან შესასწავლად წამოიღო დოკუმენტებით სავსე ჩანთა. მისი შინაარსი პრესისათვის ჯერჯერობით უცნობია.

ნატოს წევრი-სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებში, მართალია, დაფარულად, მაგრამ მაინც იგრძნობა კლასისათვის ზურგის შექცევის ტენდენცია. გერმანიის მთავრობამ საგარეო საქმეთა მინისტრის კლაუს კინკელის სახით ოფიციალურად განაცხადა, რომ მხარს უჭერს კლასს და იგი უდანაშაულოდ მიაჩნია, მაგრამ პარლამენტის ზოგიერთი წევრი, მათ შორის მმართველი კოალიციის სპიკერი კარლ ლამერსი, პრესის საშუალებით („ველტ ამ ზონტაგ") მიმართავს ნატოს გენერალურ მდივანს სასწრაფოდ გადადგეს დაკავებული პოსტიდან, „რათა არ შებღალოს ნატოს სახელი". განსაკუთრებით საშიშია ნატოსა და მისი გენერალური მდივნის დისკრედიტაცია ახლა, როდესაც გამწვავებულია ურთიერთობა რუსეთთან ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გამო და მოსკოვიდან სულ უფრო მკაფიოდ გაისმის პაველ გრაჩოვის მუქარა. სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური წრეებიდან სულ უფრო ხშირად გაისმის, რომ კლასი ისედაც არ იყო ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, მით უმეტეს ახლა გაუჭირდება გენერალური მდივნობა და ნატოს აქტიური მწვავე პრობლემების გადაწყვეტა, თუნდაც უდანაშაულო აღმოჩნდეს ვერტმფრენების სკანდალში. ისიც უნდა ითქვას, რომ ნატოს წევრები შეგნებულად აჭიანურებენ კლასისადმი დამოკიდებულების აშკარა გამოხატვას. მათი მთავარი საზრუნავი ახლა მისი შემცვლელის ძიებაა. სანამ აწ განსვენებული მანფრედ ვიორნერის საკადრისი მემკვიდრე არ მოიძებნება, ნატოს წევრები მოქმედი გენერალური მდივნის წინააღმდეგ აშკარად არ გაილაშქრებენ. ყველასათვის სასურველ კანდიდატურაზე შეთანხმების შემდეგ კი უმტკივნეულოდ მოიშორებენ ვილი კლასს. აღსანიშნავია, რომ საკუთარ უდანაშაულობაში დარწმუნებული ვილი კლასი ორი კვირით დასასვენებლად გაემგზავრა, როგორც მისმა სპიკერმა განაცხადა, დიდი ხნით ადრე დაგეგმილ მოგზაურობაში და მის გამგზავრებას არაფერი აქვს საერთო უკანასკნელი თვის დაძაბულ მოვლენებთან.

ნატოს ამჟამინდელი მთავარი საზრუნავი კი მართლაც რუსეთთან შექმნილი დაძაბული ურთიერთობაა, რუსმა გენერალმა ლებედმა განაცხადა, რომ პოლონეთისა და ჩეხეთის ნატოში შესვლა აუცილებლად გამოიწვევს მესამე მსოფლიო ომს, გერმანული პრესა შეშფოთებით აქვეყნებს ლებედის განცხადებას ცენტრალური გაზეთების პირველ გვერდზე და იქვე აღნიშნავს, რომ მე-14 არმიის გენერალი ლებედი ელცინის შესაძლო მემკვიდრეა. ჩეხური გაზეთებისათვის მიცემულ ინტერვიუში ლებედი აცხადებს, რომ როგორც კი ნატო მიუახლოვდება რუსეთის საზღვრებს, მაშინვე დაიწყება ომი, რომელსაც თავად ნატო დაიწყებს, რადგან ნატოს აინტერესებს რუსეთის ტერიტორიის დაპყრობა: „აქ მას დახვდება 150 მილიონი ადამიანი, მათი შრომის შედეგები, სასარგებლო წიაღისეული". ლებედმა აღნიშნა, რომ ნატო თავის სურვილს ვერ მიაღწევს, ხოლო თუ როგორ შეაჩერებს რუსეთი მის გაფართოებას, ეს მისი, რუსეთის, სამხედრო საიდუმლოებაა. ცნობილი მხოლოდ ერთი რამ არის, გრაჩოვი ჯერჯერობით უარს აცხადებს ატომური განიარაღების შემდგომი ეტაპის განხორციელებაზე, მიზეზი კი ნატოს გაფართოებაა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კინკელმა გრაჩოვისა და ლებედის მუქარებს „უჭკუო საქციელი" უწოდა, მან აღნიშნა, რომ ნატოს გაფართოება არ ნიშნავს რუსეთთან დაპირისპირებას, იგი ითვალისწინებს უსაფრთხოების განმტკიცებას მთელი ევროპისათვის და გულისხმობს ამ პროცესებში მოსკოვის აქტიურ ჩართვას. კინკელმა ისიც აღნიშნა, რომ პოლონეთისა და ჩეხეთის ნატოში გაწევრიანების ზუსტი კი არა, მიახლოებული თარიღებიც არ არის დადგენილი, თუმცა, ბუნდესტაგის სხვა წევრებმა სხვაგან აღნიშნეს, რომ პოლონეთის ნატოში შესვლას 2000 წლამდე უნდა ველოდოთ.

აღნიშნული დისკუსიის ფონზე გერმანიის პოლიტიკური წრეების შეშფოთებას იწვევს და პრესაც დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთის შიდა მოვლენებს. „რუსეთს ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ემუქრება ომი" — ამ სათაურით გამოქვეყნდა წერილი „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგში", სადაც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთის ომი ჯერ არ დამთავრებულა, ახლა ტაჯიკეთში გაიხსნა ახალი ფრონტი, გაზაფხულის დადგომისას განახლდება სამხედრო დაპირისპირება აზერბაიჯანში, რომელიც ნავთობსადენითაა დაკავშირებული გროზნოსთან, ერთ-ერთი სახიფათო ადგილია დნეპრისპირეთიც, სადაც ჯერ კიდევ თავმოყრილია რუსეთის დიდძალი საომარი პოტენციალი.

ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე გაეროს ჯარების სამწლიანი სტაციონირების დაწყებიდან პირველად გამოაძევეს იქიდან გაეროს გენერალი. რუს გენერალ-მაიორ ალექსანდრ პერელიაკინს ბრალად ედება „უხეში პროფესიული შეცდომების დაშვება" ანუ, არაოფიციალურად, კორუფცია და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. როგორც გაზეთები წერენ, იგი დაკავშირებული ყოფილა რუსულ მაფიასთან, სერბებთან ერთად დაკავებული ყოფილა კონტრაბანდისტული ვაჭრობით, იგი ყოფილა პასუხისმგებელი სერბიიდან ტანკების ორი კოლონის შეყვანაზე, რისთვისაც საჩუქრად მერსედესი მიუღია. სერბიელი სეპარატისტებისთვის მრავალჯერ მიუყიდია გაეროს ბენზინი და ბოლოს, იქვე გაუხსნია ბორდელი. მიუხედავად იმისა, რომ რუს გენერალს უბრძანეს დაუყოვნებლივ დატოვოს ბოსნია და ამის შესახებ ოფიციალურად აცნობა გაეროს ხელისუფლებამ მოსკოვს, იგი, ჯერჯერობით, ადგილიდან არ იძვრის.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გერმანიაში.

Herald
INTERNATIONAL
WOCHENENDE
General-Anzeiger

ხელი გავანძრიოთ და გვეშველება

ასე მიაჩნია სახელმწიფო რწმუნებულის შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციას

გაგიხარია, კარგი რამაა ჯადოსნური კვერთხი: ჩასჩურჩულებ, მერე ჰაერში მოიქნევ და რასაც ნატრობდი, სინამდვილედ გექცევა, მაგრამ ჩვენი დღევანდელი სინამდვილე იმდენად მძიმე და უნუგეშოა, ვერანაირი კვერთხი, ვერანაირი შეძახილი საქმეს ადგილიდანაც ვერ ძრავს. ფაბრიკები კვლავაც დაკეტილია, ქარხნების მილებიდან კვამლი არ ამოდის, გაჩერებულია წარმოება — თითქოს მაჯისცემა გაუჩერდაო ქვეყანას.

მაგრამ აი, იმედის ნაპერწკალი, რომელსაც გაღვივება და მერე ერთად სულის შებერვა უნდა, რომ აგიზგიზდეს — დატრიალდეს ჩარხები, გახურდეს ღუმელები, გამოუშვას პროდუქცია. აი, ასეთი იმედის ნაპერწკალი გამოკრთა იმ დღეს ხაშურის სამრეწველო საწარმოების შრომის კოლექტივებთან ქართლის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულის ბადრი ხატიძის, აპარატის თანამშრომლების შეხვედრებზე, ხოლო შემდეგ საწარმოთა ხელმძღვანელობის, კომერციული სტრუქტურების, სოფლის მეურნეობის მუშაკთა რაიონულ თათბირზე, რომელიც იმავე დროს გაიმართა.

თათბირის მონაწილეებმა გააანალიზეს რაიონში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ისაუბრეს არა მარტო სიძნელეებზე, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი მოსაზრებანი ამ სიძნელეებიდან გამოსვლის თაობაზე. პირველ რიგში ყურადღება გაამახვილეს ადგილობრივი ნედლეულის გამოძებნისა და ათვისების პრობლემებზე, უცხოურ ფირმებთან ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე, რისი მეოხებითაც უნდა მოხდეს ქარხნების ამუშავება.

რა უნდა ვიღონოთ, მაგალითად. იმისათვის, რომ სურამის ურთულესი უღელტეხილის რკინიგზის გადასარბენზე შეიცვალოს აწ უკვე უვარგისი შპალები?

ცნობილია, რომ ადრე რკინიგზის შპალები ჩვენში რუსეთიდან შემოდიოდა, იჟღენთებოდა ამიერკავკასიაში ერთადერთ — გორის შპალსაჟღენთ ქარხანაში და იქიდან იგზავნებოდა ქვეყნის სხვადასხვა მხარეში.

სარკინიგზო შპალი ქარხანას ხუთ წელზე მეტია აღარ მიუღია, მით უმეტეს, ახლა, როცა გზები ჩაკეტილია, რუსეთის შპალზე ოცნება სამომავლოდ უნდა გადავდოთ.

სწორედ ამიტომაც ხაშურის სალოკომოტივო დეპოს რკინიგზელებმა დააყენეს საკითხი ბორჯომის ხეობაში ტყეების ე. წ. სანიტარული ჭრების ჩატარების აუცილებლობაზე, გორელი შპალისმჟღენთავები კი მზად არიან შპალების გასაჟღენთად, პროდუქციისათვის საბოლოო სახის მისაცემად.

ორიოდე წლის წინ ხაშურელმა ფეიქრებმა (საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ, რომ საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკაში მაქსიმალურადაა შენარჩუნებული მანქანები და დაზგა-დანადგარები. საწარმოს ძირითადი საშუალებები [illegible] თუ ისე გადაურჩა ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილი საქმოსნების ხელს) თავისი სამრეწველო პროდუქცია — 100 მილიონი რუბლის ღირებულების საფარდე ქსოვილი და სხვა საგალანტერიო ნაწარმი გაუგზავნეს აზერბაიჯანისა და უზბეკეთის სავაჭრო ბაზებს, ფულს პატიოსნად და მოთმინებით დღემდე ელიან, მაგრამ როდემდე შეიძლება ლოდინი?!. იქნებ ამ ქვეყნებში ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობას რაიმე ეღონა, საქმე რომ ადგილიდან დაძრულიყო? საქმე იმაშია, რომ რუსული რუბლი თავქვე ისე „გარბის", რომ როცა ფულს დააბრუნებენ, შესაძლოა რუბლის გვერდით კუპონი უფრო „ელეგანტურად" გამოიყურებოდეს.

თათბირის მონაწილეთათვის მოულოდნელი სიამოვნება აღმოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ხაშურის მინის ტარის ქარხნის მოლაპარაკება საქართველო-ჰოლანდიის ერთ-ერთ ერთობლივ ფირმასთან წარმოებაში კაუსტიკური სოდისა და სხვა საჭირო ნედლეულის შემოსატანად. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ქარხნის ერთ ღუმელს უკვე ასამოქმედებლად ამზადებენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება.

ამასობაში, არც ხაშურის რაიონული გამგეობა ზის გულხელდაკრეფილი. წლეულს მკვეთრად გამოასწორა მდგომარეობა ქალაქის პურკომბინატმა, ხაშურელებს ახლა საწვავიც სამყოფად აქვთ და მინდვრისა და ვენახების სამუშაოები სწრაფი ტემპებით წავიდა წინ.

დღეს რაიონში ბევრი პრობლემა ადგილზე წყდება და ამას ხაშურელები შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის სამხარეო ადმინისტრაციის შექმნას უკავშირებენ და როგორც რაიონულ თათბირზე ითქვა, ეს მხოლოდ დასაწყისია, უიმედობის, სიძნელეების მორევიდან თავის დაღწევის დასაწყისი.

ხელი გავანძრიოთ და გვეშველება.

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკ. კორ.

სიმართლე უნდა სუფევდეს ყველგან

სარედაქციო ფოსტიდან

„— ჩვენი ოჯახი 1980 წელს ადმინისტრაციული წესით გამოასახლეს საკუთარი ბინიდან, — გვწერენ ილია და პეტრე ცაგარლები, — **დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა დადგინდა, რომ ჩვენთვის დაებრუნებინათ წართმეული სახლი და იქიდან უნდა გამოესახლებინათ უკანონო მცხოვრებნი. მაგრამ აგერ სამი წელია სამართალს ვერ მივაღწიეთ. მიუხედავად იმისა, რომ დაბა ახალგორის გამგეობას დავალებული აქვს ბინის დაცლა და ჩვენი იქ შესახლება, ჯერჯერობით არაფერი ზომები არ არის მიღებული"...**

აი ასეთი საჭირბოროტო საქმის მოგვარებისათვის მოგვმართეს ძმებმა ცაგარლებმა. შემდეგ თვითონაც ეახლენ რედაქციას და გვიამბეს თავგადასავალი, ის, რა უბედურებაც მაშინ, ბინიდან გამოსახლების დროს გადახდათ.

ცხადია, იმ არეულობის ჟამს ბევრი განუკითხაობა და უკანონობა სუფევდა ჩვენში. წესიერ ადამიანებს, მშრომელ და გამრჯე მეოჯახეებს კულაკობას შესწამებდნენ ან სხვა იარლიყს მიაკერებდნენ და ატოვინებდნენ სოფელს, სახლ-კარს, მშობლიურ ადგილებს, ართმევდნენ პირუტყვს, საოჯახო ნივთებს, სამუშაო იარაღს, ყოველივე იმას, რაც კი საკუთარი მარჯვენით შექმნილი გააჩნდათ. ზოგს, რა თქმა უნდა, შორეულ ციმბირში უკრავდნენ თავს. ასე იყო მაშინ, ბოროტი სულების, ზარმაცი ვიგინდარების დასმენით მთელ საგვარეულოს ეღებოდა ბოლო.

და, რა თქმა უნდა, ცაგარლების საჩივარმაც მოგვაგონა ის სამწუხარო შორეული წარსული და სამართლიანადაც გვაფიქრებინა — ისინიც ხომ ასეთი განუკითხაობის მსხვერპლნი იყვნენ. რას იზამ, ასე იყოო მაშინ, მაგრამ ახლა ხომ შეიძლება გაფუჭებული საქმის გამოსწორება, რაც ახალგორის გამგეობასა და სამართალდამცავ ორგანოებს უნდა გაეკეთებინათ და ალბათ სიმართლის დასადგენად იღონებენ რაიმეს.

მეორე წერილი კი, რომელიც რედაქციამ მიიღო, საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს ეხება. ავტორთა ჯგუფი არგუმენტირებულად და სათანადო პატივისცემით მოიხსენიებს ჩვენს პარლამენტს და საყვედურსაც გამოთქვამს. „ჩვენი პარლამენტი — გვატყობინებს ეს ჯგუფი, — **უთუოდ ბევრ და მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ პრობლემებს აგვარებს. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ ზოგჯერ საჭირო და აუცილებელი კანონების მიღებას რომ აგვიანებს, ეს უთუოდ ჭეშმარიტებაა. ამისათვის ასეთი მაგალითიც საკმარისია: საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები პენსიონერები დიდი ხანია ელოდებიან ახალი კანონის მიღებას, რომლის პროექტიც ადრე გამოქვეყნდა, მაგრამ ამით დამთავრდა ყველაფერი. ფაქტობრივად ჩვენს ხანდაზმულ, ღვაწლმოსილ ადამიანებს არა აქვთ კანონი პენსიების შესახებ".**

ვფიქრობთ, ამ სამართლიან საყვედურს ალბათ პარლამენტარებიც გაითავისებენ. ჩვენ კი სავსებით ვეთანხმებით გამოთქმულ მოსაზრებას. საპენსიო კანონის განხილვას და მიღებას მთელი ჩვენი საზოგადოება ელოდება და დაჟინებითაც მოითხოვს. ვფიქრობთ ამ პრობლემას ჩვენი პარლამენტარები გულთან მიიტანენ და ხალხის სურვილს დააკმაყოფილებენ.

ჯერ კიდევ შარშან, სექტემბერში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი „სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ". მასში ლაპარაკი იყო თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე აშენებული საცხოვრებელი სახლის ავ-კარგზე, იმ ნაკლსა და ხარვეზზე, რაც ამ სახლსა და იქ შესახლებულ მაცხოვრებლებს „თბილისქალაქმშენის" № 3 სახლმშენებელმა კომბინატმა დააკლო (დირექტორი დ. ჯობავა, მთავარი ინჟინერი ვ. ლეგაშვილი). ამაზე თბილისის მერიის მიერ გამოგზავნილი პასუხიც დაიბეჭდა, რომელსაც ხელს აწერდა თბილისის მუნიციპალიტეტის ვიცე-პრემიერი ა. კურცხალია. იგი იტყობინებოდა, რომ კრიტიკა სწორია და 1994 წლის ბოლომდე ყველაფერი მოგვარდებაო. და აი ახლა, 1995 წლის აპრილში რედაქციას მომართეს იქაურმა მცხოვრებლებმა. მათ საყვედურები გამოთქვეს № 3 სახლმშენებელი კომბინატის მისამართით და თბილისის მერიაც გააკრიტიკეს რედაქციისათვის არასწორი პასუხის გამოგზავნისათვის. „ახლა კი, — გვწერენ ისინი, — **ჩვენს გულისტკივილს განმეორებით რედაქციას ვუგზავნით, რადგან მან დაიწყო საქმე და მოვალეა ბოლომდე მიიყვანოს, ის, რაც თბილისის მერიამ შეატყობინა რედაქციას, ხანახევრად ტყუილი გამოდგა. № 3 კომბინატი ძალიან უგულოდ მუშაობს, უყურადღებოდ ტოვებს ნაკლსა და ხარვეზს, რაზეც საგაზეთო წერილში იყო ლაპარაკი"...**

არ შეიძლება არ დაეთანხმო მობინადრეებს. № 3 სახლმშენებელი კომბინატი უყურადღებოდ ეკიდება მობინადრეთა სამართლიან საჩივრებს. შარშან გასაკეთებელს, ეტყობა, წელსაც ვერ მოაგვარებს. ყოველ შემთხვევაში ასე ეტყობა მათს მუშაობასა და საქმეებს.

ერთ-ერთი წერილის ავტორი თბილისელი გ. მარგველაშვილია, მას წერილისათვის „გაიძარცვა ყველაფერი" დაურქმევია. წერილში ლაპარაკია ჩვენი ფაბრიკების, ქარხნების, დაწესებულების ბედზე. როგორც იგი აღნიშნავს, ბევრგან ისე მოექცნენ საწარმოს, მანქანა-იარაღებს, მოწყობილობას, ქონებას, თითქოს მტრის ურდოებმა გადაიარესო. **„აბა ნახეთ ჩვენი ბევრი ქარხანა და ფაბრიკა,** — გვწერს იგი, — **ბევრიც რომ ვეცადოთ მათს ამუშავებას, ვერაფერს მოვუხერხებთ. ალბათ წლები და მილიარდები დასჭირდება იმას, რომ ჩვენმა საწარმოებმა შეძლონ პროდუქციის გამოშვება. გაოცებული ვართ, რატომ მიუშვა ასე სახელმწიფომ, ქურდებსა და მძარცველებს რატომ ჩაუგდო ხელში ჩვენი ეკონომიკა".**

წერილში იგი დაასკვნის რომ არც ახლა ადგია კარგი დღე იმას, რაც დარჩა და რასაც მზაკვარმა ხელი ვერ მიაწვდინა. სად არიან სათანადო სამინისტროები, სამართალდამცავი ორგანოები, ეკითხება რედაქციის ავტორი და ჩვენც გვსაყვედურობს, არც თქვენა ხართ დაინტერესებული სახალხო ქონების დაცვისთვისო.

ერთი სიტყვით, ადამიანს, პატრიოტს, ქვეყნისა და ხალხის მოყვარულს გული სტკივა იმისათვის, რომ ჩვენი ეკონომიკა კარგა ხანს ვერ წამოიდგამს ფეხს, რადგან ბოროტმა ხელმა და ფაქტობრივად კანონის დაუცველობამ უბედურ დღეში ჩააგდო წლობით ნალოლიავები და ნამოღვაწარი ფასეულობანი. უთუოდ მართალია წერილის ავტორი. ალბათ დიდი ხანი დასჭირდება იმ ნანგრევების ადგილას ახლის აგებას, ასე ერთი ხელის მოსმით რომ გავაჩანაგეთ. ერთი კი სინამდვილეა, ამ ფასეულობათა დასაცავად რომელი კანონიც გვაქვს, იმასაც ვერ ვიყენებთ! ასე რომ არ იყოს, შეიძლება ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების გაჩანაგებისათვის პასუხი არავის მოეთხოვოს? მაგრამ ამის დროც მალე დადგება. დაიწყება ნაიარევის მოშუშება და დასნებოვნებულების გაჯანსაღება. მაშინ ყველა აგებს პასუხს საკუთარ ნამოქმედარზე. უნდა შევიგნოთ, რომ არაფერი არ იქნება დავიწყებული.

ღმერთმა ქნას.

„სისხლხორცეულად შეგვძრა პროფესორ ნოდარ ბოხუას დაღუპვამ, — გვწერენ ს. მანჯავიძე, ო. ბურჯანაძე, ლ. კანკავა და სხვები. **სად, რომელ ქვეყანაში, ვინ გაიმეტებდა მეცნიერსა და დასტაქარს ასე ულმერთოდ? კაცის მკვლელებისათვის სულ ერთია, ვის მიუშვერენ იარაღს და მოუსპობენ სიცოცხლეს.**

რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, რით ვანუგეშოთ და დავამშვიდოთ ხალხი, ვისი იმედი უნდა ჰქონდეთ უბრალო ადამიანებს? ერთი სიტყვით, ფაქტობრივად ცოტა რამ კეთდება უკანონო მფლობელთათვის იარაღის ჩამოსართმევად. მაგრამ, ცხადია, იმედს მაინც არ ჰკარგავენ ჩვენი ადამიანები, მალე ამ შეიარაღებულ მკვლელთა და მათი მფარველების განკითხვის ჟამიც დადგებაო, ხაზგასმულია რედაქციაში გამოგზავნილ მრავალ წერილში.

ბიჟი ჩიქვინიძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

ირგვლივ კი იმდენი მეჩეჩია!..

როგორც სააგენტო „იფრინდამ" გვაცნობა, გაიმართა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა, საქართველოში შექმნილი ყოვლისმომცველი კრიზისიდან გამომდინარე და ქართველ მოღვაწეთა ჯგუფის იმ მოწოდების შესაბამისად, რომელიც გაზეთ „იბერია-სპექტრში" გამოქვეყნდა ამას წინათ.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ 22 პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ შორის ხუთი — საპარლამენტო პარტიიდან — ტრადიციონალისტთა კავშირი, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია, მერაბ კოსტავას საზოგადოება, კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია და ილია ჭავჭავაძის საზოგადოება.

იმსჯელეს ქვეყნის გადასარჩენად ერთობლივი ცივილიზებული გზების განსაზღვრაზე. ი. გოცირიძემ, მ. მაჭავარიანმა, აკ. ასათიანმა, ნ. ნათაძემ, გ. ხოშტარიამ, ნ. მოლოდინაშვილმა, ი. ქენქოშვილმა, თ. ჟორჟოლიანმა, ზ. აფრასიძემ, გ. კორძაძემ, ბ. გიორგობიანმა, თ. კერძევაძემ, გ. მამალაძემ, აკ. ბაქრაძემ, თ. მდინარაძემ ერთხმად გამოხატეს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური კურსის მიმართ, რომელსაც მათი აზრით, ქვეყანა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვისკენ მიჰყავს.

შეხვედრის მონაწილეებმა დაადასტურეს მათი მუშაობის შემდგომი კოორდინირების აუცილებლობა, რომლის კონსტრუქციულ ფორმად მუდმივმოქმედი სათათბიროს შექმნა მიიჩნიეს.

სამშობლოს გადარჩენისათვის ზრუნვა ყველა მოქალაქის უფლებაა და მას ვერავის წაართმევ. თუ რას მოუტანს ქვეყანას ეს ახალი გაერთიანება, ამას მომავალი გვიჩვენებს. პარალელური, ალტერნატიული პარლამენტი? არადა, ჩვენმა პარლამენტმა — კანონშემოქმედებითმა ორგანომ — ხომ რა ხანია თითქმის მუდმივმოქმედი სათათბიროს ელფერი შეიძინა, სადაც ხშირად და უხვად იმსხვრევა შუბები...

საქართველო აბობოქრებულ ტალღებში მოხვედრილ გემს ჰგავს, ირგვლივ ბურუსია, ნაპირი ოდნავ ილანდება... ეს გემი 1991-1992 წლების მიჯნაზე მაშინდელმა ოპოზიციამ უკვე მიახეთქა მეჩეჩს. რა კურსით წაიყვანს ახალი ოპოზიციური გაერთიანება? ირგვლივ კი იმდენი მეჩეჩია!..

მზია გელენავა.

პრივატიზაცია

№3

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის"
რედაქციისა და სახელმწიფო ქონების მართვის
სამინისტროს ერთობლივი გამოშვება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების უზრუნველყოფის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ღონისძიებების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების დარიგების, მისი მიმოქცევისა და დაფარვის ორგანიზაციულ ღონისძიებათა მოწესრიგების, რესპუბლიკური საბარათო საუქციონო და განაცხადების გადამმუშავებელი ცენტრის, რეგიონალური საბარათო საუქციონო ცენტრების განთავსების, აღჭურვისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ორგანიზაციული მეთოდიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის ამოცანათა გადაწყვეტას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის კერძო მესაკუთრეთა მასობრივი ფენის ჩამოსაყალიბებლად. იგი უშუალოდ ეხება თითოეული მოქალაქის ინტერესებს, მათ ჩართვას საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებში და თავისი მასშტაბებით არა მარტო ეკონომიკური, არამედ მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა ქვეყნის ისტორიაში და ფაქტობრივად ეკონომიკური რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვანი ეტაპი ხდება უახლოესი პერიოდისათვის.

ამასთან დაკავშირებით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა უპირველესი მნიშვნელობის ამოცანად მიიჩნიონ საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის განხორციელების პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

დაწესდეს, რომ მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ორ კვირაში ერთხელ უნდა წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტსა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატს ინფორმაციები შესაბამის რეგიონებში საპრივატიზაციო ბარათების გავრცელებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

2. შეიქმნას მასობრივი პრივატიზაციის წარმმართველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თემურ ბასილია — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

ავთანდილ სილაგაძე — თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი;

ვლადიმერ პაპავა — საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი;

დავით იაკობიძე — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ფრიდონ ინჯია — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი;

არჩილ გოგელია — ტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარე;

პეტრე ბაქრაძე — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე;

ვანო ჩხარტიშვილი — ახალი ქართული ბანკის თავმჯდომარე;

ლერი გიგინეიშვილი — სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე;

ჯიმი მიქელაძე — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

ემირ ჯულელი — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე;

ვლადიმერ ქარსელაძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მოადგილე;

მარტინ რონსჰოლტი — მსოფლიო ბანკის საქართველოში მასობრივი პრივატიზაციის პროექტის მენეჯერი;

შოთა კობრეიძე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭოს აღმასრულებელი სამსახურის უფროსი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭომ და მისმა აღმასრულებელმა სამსახურებმა ორი კვირის განმავლობაში უზრუნველყონ საპრივატიზაციო ბარათების გავრცელების კამპანიის დაწყება იმ რეგიონებში, რომლებშიც მოსამზადებელი სამუშაოები დამაკმაყოფილებლად წარიმართა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა სპეციალურად განიხილოს იმ ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ინფორმაციები, რომლებიც მზად არ არიან საპრივატიზაციო ბარათების გავრცელებისათვის, და მიიღოს სათანადო ზომები მოსამზადებელი სამუშაოების უმოკლეს ვადაში დამთავრებისათვის, რათა საპრივატიზაციო ბარათების გავრცელების კამპანია ქვეყანაში დასრულდეს 1996 წლის 1 ივლისამდე.

4. შეიქმნას და რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დაექვემდებაროს რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების გადამმუშავებელი საუქციონო ცენტრი, რომელსაც დაექვემდებარებიან რეგიონალური საბარათო საუქციონო ცენტრები: ქ. თბილისში — აღმოსავლეთის ზონა, ქ. ქუთაისში — დასავლეთის ზონა, ქ. ბათუმში — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზონა. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონში 2 კვირის ვადაში შეიქმნას საპრივატიზაციო ბარათების მიმღები პუნქტები და დაკომპლექტდეს სათანადო რაოდენობის კადრებით. თბილისში, ქუთაისში და ბათუმში შექმნილ რეგიონალურ საბარათო საუქციონო ცენტრებს დაევალოს საპრივატიზაციო ბარათების მიმღები პუნქტების ფუნქციების შესრულება.

5. დაევალოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს:

— ორი კვირის ვადაში დაამტკიცოს რესპუბლიკური საბარათო განაცხადების გადამმუშავებელი საუქციონო ცენტრის ხელმძღვანელი და დებულება. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების გადამმუშავებელი საუქციონო ცენტრის ხელმძღვანელი არის მასობრივი პრივატიზაციის წარმმართველი კომისიის წევრი.

— უზრუნველყოს რესპუბლიკური და რეგიონალური ცენტრების აღჭურვა სათანადო ტექნიკით.

6. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულებს რეგიონებში, რაიონებისა და ქალაქების გამგეობის თავმჯდომარეებს (მერებს) ორი კვირის ვადაში უზრუნველყონ საბარათო აუქციონების რეგიონალური ცენტრების და საპრივატიზაციო ბარათების მიმღები პუნქტების განთავსება და დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ მასობრივი პრივატიზაციის წარმმართველ კომისიას.

7. მასობრივი პრივატიზაციის წარმმართველმა კომისიამ, მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭომ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იძულებით ადგილგადანაცვლებულ პირთათვის საპრივატიზაციო ბარათების დროულად გადაცემის საკითხს იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან. ამასთან, რეალური ვითარების შესაბამისად ჩაატარონ მოსამზადებელი სამუშაოები რეგიონალური საბარათო საუქციონო ცენტრების შესაქმნელად სოხუმსა და ცხინვალში.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს დარგობრივ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად განიხილოს იმ სააქციო საზოგადოებათა გენერალური დირექტორების თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი, რომლებშიც ფერხდება აქციების დაბეჭდვა.

9. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეროვნულ ბანკს, ახალ ქართულ ბანკს (შემნახველ ბანკს), კავშირგაბმულობის სამინისტროს, მინისტრთა კაბინეტთან არსებულ საპრივატიზაციო ბარათების სისტემის სამოქმედოდ შემოღების საკოორდინაციო საბჭოს უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის საპრივატიზაციო ბარათების დარიგების, მიმოქცევის, დაფარვის უზრუნველყოფისათვის საჭირო ორგანიზაციულ-მეთოდიკური ღონისძიებების განხორციელება.

10. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს საპრივატიზაციო ბარათების სისტემის მოქმედებასთან დაკავშირებული ობიექტების დაცვა, განახორციელოს ღონისძიებანი ყალბი ბარათების შესაძლო დამზადებისა და მიმოქცევაში გაშვების, ერთი და იმავე პიროვნების მიერ რამდენიმე ბარათის მიღების და საერთოდ მოსალოდნელი ნეგატიური შემთხვევების თავიდან აცილებისათვის.

11. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა ორი კვირის ვადაში შეიმუშაოს მექანიზმი და განსაზღვროს წყაროები მასობრივი პრივატიზაციის კამპანიის აქტიურ მონაწილეთა მატერიალური სტიმულირებისათვის.

12. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციას, გაზეთებს „საქართველოს რესპუბლიკა", „სვობოდნაია გრუზია", „თბილისი", ხოლო კერძო სატელევიზიო კომპანიებს და გაზეთებს ეთხოვოთ მაქსიმალური ყურადღება დაუთმონ საქართველოს რესპუბლიკაში მასობრივი პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობის საკითხებს და სისტემატურად გააშუქონ იგი თავიანთ პუბლიკაციებსა და გადაცემებში.

Э. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 13 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

თბილისში არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზების პროცესის დაჩქარების შესახებ

ქალაქ თბილისში, მუნიციპალური საკუთრების არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზების პროცესის დაჩქარების, ამ საქმეში არსებული შემაფერხებელი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, თბილისის მმართველობითი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების გათვალისწინებით:

1. ნება დაერთოს თბილისის მერიას მუნიციპალური ქონების ფონდის მეშვეობით მოახდინოს საცხოვრებელ სახლებში განთავსებული მუნიციპალური საკუთრების არასაცხოვრებელი ფართობების პრივატიზება პირდაპირი მიყიდვის წესით იმ მოიჯარეებისათვის და დამქირავებლებისათვის, რომლებსაც არასაცხოვრებელი ფართობის იჯარის ან ქირავნობის უფლება მოპოვებული აქვთ ქალაქში მოქმედი წესების შესაბამისად.

2. თბილისის მერიამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს განკარგულების პირველ მუხლში აღნიშნული არასაცხოვრებელი ფართობების მოიჯარეთათვის პირდაპირი მიყიდვის წესი.

Э. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 28 მარტი.

ცვლილებები და დამატებები

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება თავის 1993 წლის 23 დეკემბრის № 937 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

დადგენილებაში აღნიშნულია:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები 1993 წლის 23 დეკემბრის № 937 დადგენილებაში და მე-4 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტს დაემატოს ორი აბზაცი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

— სესხის ან გირავნობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის — თანხის ან ღირებულების 0,5 პროცენტი;

— პრივატიზების შედეგად ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამოწმებისათვის — 0,5 პროცენტი;

არბიტრაჟის თანხლებით?!

წინამდებარე მასალაში მოთხრობილი ერთი კონკრეტული ამბავიც ნათლად წარმოაჩენს თუ როგორ შეიძლება გააჭიანუროს პრივატიზების მნიშვნელოვანი პროცესი ერთი შეხედვით უბრალო და ადვილად გადასაწყვეტმა პრობლემამ.

ქალაქ თბილისში ობიექტების პრივატიზაცია ხორციელდებოდა დედაქალაქის მერიის საქალაქო კოლეგიის მიერ სხვადასხვა დროს მიღებული ბრძანებულებებით და ამავე კოლეგიის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისიის საშუალებით.

თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს საკონკურსო კომისიამ 1994 წლის 15 აპრილს გამართა კონკურსი ქ. თბილისში რ. თაბუკაშვილის ქ. № 12-ში მდებარე ფოტოსალონის პრივატიზების მიზნით. კომისიამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ვინაიდან გაიყო კომისიის წევრთა ხმები. ერთმა მონაწილემ — შპს „ზმმ"-მა მიიღო 6 ხმა, ხოლო შრომითმა კოლექტივმა 5 ხმა. გამარჯვებისათვის კი საჭირო იყო 8 ხმის მოგროვება.

ამიტომაც 1994 წლის 13 მაისს საკონკურსო კომისიამ იმავე საკითხზე ჩაატარა განმეორებითი სხდომა. განიხილეს ორი განაცხადი — შპს „ზმმ"-ისა და შრომითი კოლექტივისა. ჩატარდა ფარული კენჭისყრა. საკონკურსო კომისიამ გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ზმმ", რომელმაც მიიღო გამარჯვებისათვის საჭირო ხმათა რაოდენობა.

1994 წლის 4 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიამ შრომითი კოლექტივის საჩივრის საფუძველზე განიხილა აღნიშნული საკითხი და თავისი დადგენილებით სწორად ჩათვალა და დაამტკიცა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს საკონკურსო კომისიის 1994 წლის 13 მაისის № 27 ოქმი.

აქ კი საქმეში ჩაერთო უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო, რომელმაც თავისი 1994 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ფოტოსალონ „გამას" კოლექტივის სარჩელი და გააუქმა ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შპს „ზმმ"-ის კონკურსში გამარჯვებულად ცნობის შესახებ, ასევე გაუქმებულად ჩათვალა აღნიშნულ საკითხზე მიღებული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის დადგენილებაც.

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ლოგიკით ქ. თბილისში კომისიის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ობიექტების პრივატიზაციის შესახებ უნდა გაუქმდეს, რაც შეუძლებელია და ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებასაც. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აზრით ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარმა სამმართველომ დაარღვია დებულება „სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის შესახებ", კერძოდ, მან 5-9-კაციანი კომისიის ნაცვლად შექმნა კომისია 15 კაცის შემადგენლობით. მაგრამ მას ეს უფლება ხომ სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით ჰქონდა?

აღსანიშნავია, რომ კომისიამ ფარული კენჭისყრით (8 ხმა — 5-ის წინააღმდეგ) გამარჯვებულად ცნო შპს „ზმმ", ვინაიდან მან კომისიას შესთავაზა პრეტენდენტზე უფრო მაღალი ფასი, რითაც დაცულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 იანვრის № 42 დადგენილებით დამტკიცებული დებულება. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ მიზანშეწონილად არც ჩათვალა საკითხის განხილვისას სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წარმომადგენლის მიწვევა.

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ სთხოვა რესპუბლიკის პროკურატურას შეისწავლოს აღნიშნული საქმე და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

მაკა კვარაცხელია.

ქრონიკა

რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების გადამმუშავებელი ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე ემირ ჯულელი.

რანაირად ჩატარდება აუქციონები?

რესპუბლიკური საბარათო და განაცხადების მიმღები ცენტრის ხელმძღვანელის, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილის **ემირ ჯულელის** ცნობით, სავაუჩერო აუქციონებში მონაწილეობისთვის მოქალაქეთა განაცხადები მიიღება განაცხადების მიმღებ პუნქტებში, რეგიონული სავაუჩერო აუქციონების ცენტრები კი, რომლებიც რესპუბლიკური ცენტრის დაქვემდებარებაში იქნებიან, ასეთნაირად განლაგდება: თბილისში — აღმოსავლეთის ზონა, ქუთაისში — დასავლეთის ზონა და ბათუმში — აჭარის რეგიონული ზონა. აუქციონებში მონაწილეობის მისაღებად მოქალაქეებმა შეიძლება წარმოადგინონ ორი ტიპის განაცხადი.

I ტიპის განაცხადში არ იქნება მითითებული აქციების ზუსტი რაოდენობა, რომლის შესყიდვასაც თქვენ ფიქრობთ ყოველი თქვენი ვაუჩერით. ამ ტიპის ყველა განაცხადი დაკმაყოფილდება — თქვენ მიიღებთ თუნდაც ერთ აქციას.

II ტიპის განაცხადში კი ზუსტად უნდა იყოს მითითებული აქციების ის რაოდენობა, რომლის შესყიდვასაც ფიქრობთ თქვენი ყოველი ვაუჩერით. ამ შემთხვევაში თქვენი მოგება თუ წაგება დამოკიდებულია იმაზე, რა ფასი იქნება აუქციონზე, ანუ როგორი იქნება თანაფარდობა ბარათების რიცხვსა და აქციების რიცხვს (რაოდენობას) შორის.

საერთოდ მასობრივი პრივატიზაციის პროგრამის მიზანია სახელმწიფო ქონების კერძო მფლობელის ხელში გადასვლა, რადგან ქვეყნისთვის უფრო ხელსაყრელია, რომ საწარმოებს მართავდეს კერძო სექტორი და არა სახელმწიფო, რითაც გაცილებით მეტი დოვლათი დაგროვდება. შესაძლოა სახელმწიფომ ზოგი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი თავის დაქვემდებარებაში დატოვოს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც საწარმოს აქციების მეტი წილი კერძო სექტორს გადაეცემა.

ყველა აუქციონის ჩატარებამდე პრესითა და ტელევიზიით პერიოდულად გამოქვეყნდება იმ სააქციო საზოგადოებათა სიები, რომელთა აქციები უნდა გაიყიდოს სავაუჩერო აუქციონებზე.

ყოველი აუქციონის ბოლოსთვის სამივე საუქციონო ცენტრი აგროვებს შესაბამის ზონებში მოქმედ მიმღებ პუნქტებში შემოტანილ განაცხადებს. ეს მონაცემები იგზავნება თბილისში მდებარე განაცხადების გადამმუშავებელ რესპუბლიკურ ცენტრში, სადაც დაითვლება, თუ რამდენი ვაუჩერი მოდის აქციაზე. ამავე დროს ყველა გამარჯვებული საპრივატიზაციო ბარათი შეგროვდება ეროვნულ ბანკში.

განაცხადების მიღების შეწყვეტიდან ორი ან სამი კვირის შემდეგ აუქციონების ყველა მონაწილე მიიღებს ინფორმაციას, თუ რამდენი აქცია მოდის ერთ ვაუჩერზე. იმათ კი, ვინც ვერ გაიმარჯვა, აცნობებენ თუ სად და როდის დაუბრუნდებათ ვაუჩერი.

რა გვიჩვენა შემოწმებამ?

როგორც ცნობილია, რეგიონებში პრივატიზების მიმდინარეობას პერიოდულად ამოწმებს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კომისია. დღეს გთავაზობთ შემოწმების მასალებს, რომლებშიც ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში მცირე პრივატიზაციის მიმდინარეობის ავ-კარგია ასახული.

ბორჯომის რაიონში მინისტრთა კაბინეტმა საპრივატიზაციოდ დაამტკიცა 101 ობიექტი, რომელთაგან პრივატიზებულია 39, აუქციონზე გაიყიდა 21, ხოლო პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზებულია 6 ობიექტი. გარდა ამისა, 5 ობიექტი გატანილი იყო აუქციონზე, მაგრამ მათი ყიდვის მსურველი არავინ აღმოჩნდა. 47 ობიექტზე მზად არის დოკუმენტაცია საპრივატიზებოდ. 22 საწარმოს მუშაკებმა სურვილი გამოთქვეს პირდაპირი მიყიდვის წესით შეიძინონ ეს ობიექტები. 19 ობიექტი გაიყიდება აუქციონზე, ერთი კი კონკურსის წესით. თუმცა ამ ობიექტებთან დაკავშირებით ადგილობრივ პრესაში განცხადებების გამოქვეყნება ფერხდება იმის გამო, რომ არ გამოდის რაიონული გაზეთები.

რაიონულ განყოფილებას არა აქვს მომზადებული საპრივატიზებო დოკუმენტაცია 19 ობიექტზე, 12 ობიექტზე შედგენილ დოკუმენტებში განსასაზღვრავია ობიექტების ღირებულება, 5 ადგილას დასადგენია საპრივატიზებო ობიექტების ფიზიკური არსებობის საკითხი. ყველა საკითხზე ბორჯომის რაიონულ განყოფილებას მიეცა მკაცრი მითითება პროცესის დაჩქარების შესახებ.

სახელმწიფო ქონების მართვის ახალციხის რაიონულ განყოფილებას მინისტრთა კაბინეტში დასამტკიცებლად წარდგენილი ჰქონდა 212 ობიექტი. ყველა მათგანი დამტკიცებულია. აქედან ვაჭრობის სფეროს ეკუთვნის 68 ობიექტი, საყოფაცხოვრებო მომსახურებას — 56, ავტოტექმომსახურებას — 6, სხვადასხვა სფეროებს — 102 ობიექტი.

1995 წლის 13 მარტისთვის პრივატიზებულია 23 ობიექტი, აქედან 15 ეკუთვნის მომსახურების სფეროს, 4 — ვაჭრობას, 2 — ავტოტექმომსახურებას, 4 სხვადასხვა სფეროს განეკუთვნება. აუქციონზე პრივატიზებულია 4, კონკურსი საერთოდ არ ჩაუტარებიათ. დანარჩენი 24 ობიექტი პრივატიზებულია პირდაპირი მიყიდვის წესით.

რაიონული განყოფილების მიერ მიმდინარე ეტაპისთვის საპრივატიზაციოდ მომზადებული 13 ობიექტიდან 7 ობიექტის კოლექტივთა საბჭომ უარი განაცხადა ობიექტის პირდაპირი წესით შესყიდვაზე. მზადდება აუქციონი მათ საპრივატიზაციოდ: დანარჩენი ობიექტებიდან პასუხი ჯერ არ მიუღიათ. პრივატიზებული ობიექტიდან შერჩევით შემოწმდა 11 ობიექტი.

მათგან ერთ-ერთია ქალაქვაჭრობის რესტორანი „ვარძია", რომლის შემოწმებისას გამოვლინდა დარღვევა. ქალაქვაჭრობის დირექციის ცნობით (№ 26 12. 10. 94) 1994 წლის 1 მარტისათვის ობიექტზე მუშაობდა 10 კაცი. მუშაკთა კრების ოქმის საფუძველზე ობიექტის შეძენის უფლება მიენიჭა 2 პიროვნებას და განყოფილებამ მათ, როგორც ამხანაგობას, შეღავათებით მიჰყიდა ობიექტი.

არსებული წესების დარღვევით მოხდა ახალციხის საგზაო სამმართველოს გზის ოსტატის სახლის, სასაფლაოს ბაზალტის სახერხი საამქროს, ქალაქვაჭრობის კაფე „ნიავის", საზეინკლო ლითონის დამმუშავებელი საამქროს, აბასთუმნის გზაზე მდებარე კომერციული მაღაზიის და სხვა ობიექტების პრივატიზება.

აღნიშნულ და სხვა დარღვევებზე სამინისტრო სათანადო რეაგირებას მოახდენს.

ზოგი რამ პრივატიზების საქმეში გერმანელთა გამოცდილებიდან

მიმდინარე წლის 30 იანვრიდან 8 თებერვლამდე ქ. სტამბოლში მუშაობდა სემინარი თემაზე: „საწარმოთა რესტრუქტურიზაცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში", რომელიც მოაწყო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ.

სემინარის მუშაობაში საქართველოდან მონაწილეობდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილების უფროსის მოადგილე გ. ჯანჯალაშვილი, რომელსაც ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა გაეზიარებინა იქაური შთაბეჭდილებები.

გთავაზობთ მის ნაუბარს.

სემინარის ჩასატარებლად მოწვეული იყვნენ გერმანიის პრივატიზაციის სააგენტოს ყოფილი მუშაკი პროფესორი მიულერი და ერთ-ერთი ჰოლდინგური კომპანიის ხელმძღვანელი პროფესორი შვარცი. მათ წაიკითხეს ლექციები პრივატიზებაში გერმანული გამოცდილების თაობაზე.

პოლონეთში პრივატიზაციის გამოცდილებაზე რამდენიმე ლექცია წაიკითხა პროფესორმა ფილიპოვიჩმაც.

ჩვენთვის საკითხის შესწავლის მიზნით ლექტორები იყენებდნენ ლექციებს, დისკუსიებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს.

ძირითადად განვიხილეთ რესტრუქტურიზაციის პროცესები, რომელთაც გერმანიის პრივატიზაციის სააგენტო „ტროიჰანდი" ახორციელებდა;

გერმანიის მთავრობამ ყველა სახელმწიფო საწარმო ამ სააგენტოს გადასცა და დაავალა განეხორციელებინა მათი პრივატიზაცია.

— დროის სიმცირის გამო, — თქვა პროფესორმა მიულერმა, — ჩვენ არ გვქონდა პრივატიზაციის თეორიის შექმნის შესაძლებლობა. ამიტომ პირდაპირ პრაქტიკულ საქმიანობაზე გადავედით. „ტროიჰანდის" ოპერატიული ამოცანა მისმა ხელმძღვანელებმა ასე ჩამოაყალიბეს: „სწრაფი პრივატიზაცია, გადამწყვეტი რესტრუქტურიზაცია, ფრთხილი ლიკვიდაცია".

„ტროიჰანდის" ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა პრივატიზაციის სწრაფად განხორციელებას. ამასთან მთავარი იყო პრივატიზებისას მიელოთ რაც შეიძლება მეტი გარანტიები საწარმოთა ამოქმედებისათვის და არა რაც შეიძლება მეტი თანხები. თუ სააგენტო დარწმუნდებოდა, რომ ამა თუ იმ საწარმოს ამოქმედებას აზრი არ ჰქონდა, ასეთი საწარმოები დაუყოვნებლივ უქმდებოდა.

როგორ მუშაობდა „ტროიჰანდი"?

„ტროიჰანდის" ხელმძღვანელობა პირველ ხანებში ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო საწარმოები სწრაფად გადასულიყო კერძო მფლობელთა და მენეჯერთა ხელში და შემდეგ მათვე განეხორციელებინათ რესტრუქტურიზაცია, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან ეს საქმე. მოქმედებაც ამ პრინციპების შესაბამისი იყო. შემდეგ ზოგიერთი საწარმოს მიმართ ეს მიდგომა შეიცვალა და კერძო ჰოლდინგური კომპანიების მეშვეობით ახორციელებდნენ რესტრუქტურიზაციას და შემდეგ პრივატიზაციას. ძირითადად ეს რთული ან რთულ სიტუაციაში ჩავარდნილი საწარმოები იყო.

სააგენტო „ტროიჰანდი" აგებული იყო დარგობრივი პრინციპით. თითოეულ დარგს ხელმძღვანელობდა დირექტორი. გადაწყვეტილებას საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ ობიექტის სიდიდისა და მნიშვნელობის შესაბამისად ღებულობდა სხვადასხვა ხელმძღვანელი. საწარმოთა სიდიდის განსაზღვრის კრიტერიუმებად იყენებდნენ ძირითად საშუალებათა ღირებულებას და მომუშავეთა რაოდენობას.

ზოგიერთი საწარმოს პრივატიზაციის საკითხს წყვეტდა დირექტორი ან დირექტორთა საბჭო, მსხვილი საწარმოების საკითხი თანხმდებოდა ფინანსთა სამინისტროსთან (თუმცა იგი არ ერეოდა „ტროიჰანდის" საქმიანობაში), ზოგჯერ — მთავრობასთან.

გერმანიაში პრივატიზაციის საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის მთავრობის მიერ გამოყოფილ დიდი მოცულობის თანხებს (დახმარებას). სხვა შემთხვევაში ყველა საწარმო გაკოტრდებოდა.

„ტროიჰანდმა" მოახდინა 13000-მდე საწარმოს პრივატიზაცია. 3800 ობიექტი კი გაუქმდა. მან ზოგიერთი საწარმო (პაკეტები 8-9 საწარმოს საბუთებით) პრივატიზაციისთვის გადასცა კერძო ჰოლდინგურ კომპანიებს, რომელთაგან ზოგიერთი ახლაც მოქმედებს. ჰოლდინგები თავიანთი შეხედულებით ახდენდნენ საწარმოთა რესტრუქტურიზაციას და შემდეგ პრივატიზაციას რაც შეიძლება მაღალ ფასებში, ან ახდენდნენ პირდაპირ პრივატიზაციას მას შემდეგ, რაც „ტროიჰანდი" უწევდა დახმარებას ასეთ ორგანიზაციას, რათა მათი საქმიანობა საბოლოოდ გამართული და მომგებიანი გამხდარიყო.

ჰოლდინგური კომპანიები თავიანთი საქმიანობისთვის სახსრებს „ტროიჰანდისგან" იღებდნენ. საწარმოთა პრივატიზაციის შედეგად ეს სესხი იფარებოდა და მოგების გარკვეული პროცენტიც რჩებოდათ.

გერმანიაში პრივატიზაცია-რესტრუქტურიზაცია ადგილობრივი გამოცდილი სპეციალისტების მეშვეობით ხორციელდებოდა. რადგან არ ჰყოფნიდათ კვალიფიციური კადრები, უცხოელ სპეციალისტებსაც იწვევდნენ, ზოგჯერ ადგილობრივ და უცხოელ კერძო ფირმებსაც. ასეთი სპეციალისტებით მუშაობა ძალიან ძვირი ჯდებოდა. თვით ჰოლდინგური კერძო ფირმები, რომლებიც 6-7 უაღრესად გამოცდილი სპეციალისტისგან იქმნებოდა, ხშირად იშველიებდნენ სხვა კერძო კონსულტანტებს — სპეციალისტებს, ხშირად ზოგიერთ სამუშაოს — კონკრეტული საქმიანობის რესტრუქტურიზაციას — ავალებდნენ კერძო ფირმებს.

„ტროიჰანდი" საკმაო თანხებს ხარჯავდა მენეჯერთა მომზადებისა და სპეციალისტთა გადამზადებისთვისაც. მასში მუშაობდა 4000 მუშაკი, გარდა ამისა, სისტემატურად მუშაობდა მოწვეული 2000 სპეციალისტი. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამუშაოთა გარკვეულ მოცულობას კერძო ფირმები ასრულებდნენ. დღეისათვის კი სააგენტოში მუშაობს 2000 კაცი, კვლავ ფუნქციონირებს ზოგიერთი კერძო ჰოლდინგი. „ტროიჰანდის" ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ უმოკლეს პერიოდში — 4 წელიწადში — გაწეულია ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო და შედეგებიც დადებითია. ამიტომაც არის, რომ „ტროიჰანდის" გამოცდილება მათივე სპეციალისტების დახმარებით გამოიყენეს რუსეთში, ესტონეთში, ლატვიაში, ბელორუსიაში.

სემინარის ლექტორებს მიაჩნდათ, რომ პრივატიზაციის გერმანული მოდელის გამოყენება სასურველია ჩვენს ქვეყნებშიც. თვლიან, რომ სასწრაფოდაა განსახორციელებელი საწარმოთა რესტრუქტურიზაცია.


ეროვნული ბანკი — ცენტრალური საცავი
5
6
7
8
9
10
4
ვ.შ
ვ.შ
ვ.შ
3
2
1
11
12
თბილისი აუქციონების რეგიონალური ცენტრი
ინფორმაციის გადამუშავების რესპუბლიკური ცენტრი თბილისი
ბათუმი აუქციონების რეგიონალური ცენტრი
ქუთაისი აუქციონების რეგიონალური ცენტრი
საწარმო A
საწარმო B
საწარმო C
სქმს

სავაუჩერო ცენტრების ორგანიზაციული სტრუქტურა

სქემაზე, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, მოცემულია სავაუჩერო ცენტრების ორგანიზაციული სტრუქტურა. საწარმოები და სააქციო საზოგადოებები აკეთებენ განაცხადებს მიმღებ პუნქტებში სავაუჩერო აუქციონებში მონაწილეობის მიღების თაობაზე. აუქციონების რეგიონულ ცენტრებში — თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში იმართება სავაუჩერო აუქციონები, საიდანაც აქციათა ახალი მფლობელების შესახებ ინფორმაციები მიეწოდება ინფორმაციის გადამუშავების რესპუბლიკურ ცენტრს, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს და თვით საწარმოებს.

ინფორმაცია

ვახტანგ ტაბლიაშვილის ბენეფისი

რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში გაიმართა საღამო. იგი მიეძღვნა ცნობილი ქართველი რეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილის დაბადების 80 წლისთავს. ამ ოსტატის სახელთან დაკავშირებულია ქართული თეატრალური და კინოხელოვნების ისტორიის შესანიშნავი ფურცლები: მან შექმნა საუკეთესო სპექტაკლები და ფილმები, რომლებიც მოვლენად იქცა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში: „რომეო და ჯულიეტა“, „მაია წყნეთელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ოთარაანთ ქვრივი“; დიდად პოპულარული ფილმი „ქეთო და კოტე“, სხვა კინოფილმები. მისი ელვარე ნიჭის თაყვანისმცემლების — კოლეგების, მეგობრების, მოწაფეების — დიდი სიყვარულის, პატივისცემისა და უდიდესი მადლიერების გამოხატულება იყო რეჟისორის ბენეფისი, რომელსაც უძღვებოდა გოგი დოლიძე.

ვახტანგ ტაბლიაშვილის — მოქალაქისა და დიდი ხელოვანის შესახებ ილაპარაკეს ნინო რამიშვილმა, რევაზ ჩხეიძემ, გიგა ლორთქიფანიძემ, ნიკოლოზ სანიშვილმა, ლილი იოსელიანმა, ლევან სანიკიძემ, რევაზ მიშველაძემ, ნოდარ გურაბანიძემ, ვასო კიკნაძემ.

ოვაციები დებიუტანტებს

„ზრიადზე“ გადაწყვიტეს თავიანთი პირველი მოცემა აფხაზეთის ბავშვთა ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლის „ხალიხის“ გოგონებმა და ბიჭუნებმა, რომელთა დებიუტი გაიმართა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზის სცენაზე. მათ მიერ შესრულებულ ცეცხლოვან ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს თან სდევდა დამსწრეთა ოვაციები. სტუმარი კი დარბაზში ბევრი იყო. მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი. ამ საღამოს საპატიო და სასურველი სტუმარი იყო კონცერტის სპონსორი, ევროგაერთიანების პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი ქ. შმიდტი. სწორედ მისი ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა ეს კონცერტი, რომელშიც ასევე მონაწილეობდა აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საქართველოს დამსახურებული არტისტის ვეჟდენ ოკუჯავას ხელმძღვანელობით.

აღფრთოვანებული სიტყვები ეკუთვნოდათ აფხაზეთის მხატვრებსაც, რომელთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა კონცერტის დღეს მოეწყო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეს-ცენტრი.

საქენერგო აზუსტებს...

საქინფორმის კორესპონდენტის თენგიზ ჩხიკვაძის მიერ საქენერგოდან მიღებული ცნობების თანახმად, საარსებო მნიშვნელობის ობიექტების, ჯანმრთელობის დაცვის, პურკომბინატების, წყალმომარაგების, კავშირგაბმულობის, აეროპორტებისა და საზღვაო ნავსადგურების ნორმალური მოქმედებისთვის დღეღამეში მინიმუმ ექვსი მილიონი კილოვატსაათია საჭირო, რაც შეეხება ძირითად სამრეწველო საწარმოებს, მათ სტაბილურ მუშაობისათვის დღე-ღამეში საშუალოდ სჭირდებათ ხუთი მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, მოსახლეობას — რვა მილიონი. ამ მაჩვენებლებით რომ ვიმუშაოთ, საჭიროა მოსახლეობას მიეწოდოს მკაცრად ნორმირებული ელექტროენერგია, ამასთან იმ პირობით, რომ იგი დღეღამის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება, როგორც თბომომარაგებით, ისე ბუნებრივი გაზით, აგრეთვე ბენზინითა და შეშით.

შეხვედრა მეანაბრეებთან

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესცენტრის ცნობით პარტიის პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი თედო პაატაშვილი და პოლიტსაბჭოს წევრები შეხვდნენ დაზარალებულ მეანაბრეთა წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ მეანაბრეთა სახსრების დაბრუნების ერთ-ერთი გზაა გაკოტრებული ბანკებისა და კომპანიების ბაზაზე სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბება მეანაბრეთა მიერ და ხელისუფლების მხრიდან ამ საზოგადოებებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

წითელი ჯვრის დახმარებით...

თბილისში გაიხსნა ორთოპედიული ცენტრი

ამ დღეს აკადემიკოს ოთარ ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს უამრავი სტუმარი ეწვია. ესენი იყვნენ რესპუბლიკის მთავრობის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, ჯანდაცვის სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ჟურნალისტები. აქ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა გახსნა ორთოპედიული ცენტრი. ამ მოვლენასთან დაკავშირებით თბილისში ჩამოვიდა კომიტეტის პრეზიდენტი ბატონი კორნელიო სომარუგა.

მეტად კეთილშობილურ მისიას ემსახურება ეს კომიტეტი. გაჭირვების ჟამს, ყოველგვარ პირობებში ადამიანის გვერდით ყოფნა და მისი დახმარება შეადგენს ამ საუკუნოვანი ორგანიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალას. ჰუმანურობა, მიუკერძოებლობა, ნეიტრალურობა, დამოუკიდებლობა, ნებაყოფლობითობა, ერთობა, საყოველთაობა — არის მისი სახელმძღვანელო პრინციპი — კომიტეტის წარმომადგენლები, — როგორც ცენტრის გახსნისადმი მიძღვნილ თავის გამოსვლაში აღნიშნა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ირაკლი მენაღარიშვილმა, — ჯერ კიდევ 1989 წელს, 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, პირველები გვეწვივნენ და მათმა ექსპერტებმა დახმარება აღმოგვიჩინეს. შემდგომ კი, როცა ჩვენში შიდა არეულობა და საომარი ვითარება შეიქმნა, კომიტეტის წარმომადგენლები უკვე 1992 წლიდან აქ არიან, ჰუმანიტარულ დახმარებას უწევენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, მარტო შარშანდელი წლის პირველ თვეებში 430.000-მა ლტოლვილმა მიიღო მათგან სურსათი და საპნები, და ასე გაგრძელდა მთელი წლის განმავლობაში,

კომიტეტს სამი ოფისი აქვს გახსნილი — თბილისში, ზუგდიდსა და სოხუმში.

ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველების მიმართ, რომლებიც მხოლოდ თავისი ეროვნების გამო განიცდიან დევნასა და შევიწროებას. აღსანიშნავია მათი დიდი მცდელობა მოძებნონ და ერთმანეთს დააკავშირონ საომარ მოქმედებათა შედეგად დაშორებული ოჯახის წევრები.

ახლა უშუალოდ ცენტრის გახსნაზე.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ მადლობა გადაუხადა კომიტეტის პრეზიდენტს დახმარებისათვის და აღნიშნა: ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი ორთოპედიული ცენტრი უცხოელ და ქართველ მკურნალებს საშუალებას შეგვიქმნის ერთობლივად დავეხმაროთ დაზარალებულთ, აქ გავუკეთოთ კიდურების პროტეზები, ამისთვის აღარ დასჭირდებათ საზღვარგარეთ წასვლა.

კომიტეტის პრეზიდენტმა ბატონმა კორნელიო სომარუგამ მითხრა: —შარშან, თებერვალში კომიტეტის თანამშრომლებმა შეისწავლეს კავკასიაში საპროთეზო და ორთოპედიული საჭიროება. და გადაწყდა ამ პროფილის ცენტრები გახსნილიყო თბილისში, გაგრასა და ბაქოში. შარშან, ნოემბერში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საერთაშორისო კომიტეტსა და საქართველოს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს შორის და ორთოპედიული ცენტრი დღეს უკვე რეალობად იქცა. პროექტი ხუთწლიანია და მის მნიშვნელოვან ნაწილს ადგილობრივი კადრების მომზადება შეადგენს. პროთეზები უფასოდ დამზადდება. შემდეგ ქართულ მხარეს დაუტოვებენ ამ სახელოსნოებს და ისინი თავად გააგრძელებენ მუშაობას.

დავათვალიერეთ ორთოპედიული ცენტრის საპროთეზო სახელოსნოები, გაგვაცნეს პროთეზის დამზადების პროცესები, ყველა სახის მასალა, საიდანაც მზადდება ისეთი ხელოვნური კიდური, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ბუნებრივ პირობებთან მიახლოებით შეძლოს მოძრაობა.

წლეულს აქ დაგეგმილი აქვთ ფეხის 150 პროთეზის დამზადება.

ლარისა ხუბულური.

• • •

სურათზე: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი კორნელიო სომარუგა.

მკვახე შეხედულება

წერილის ავტორი, იურისტი გულიკო ურუშაძე 1971-1978 წლებში აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს უფროს იურისკონსულტად მუშაობდა და ძალზე კარგად იცის, თუ როგორ მზადდებოდა და ღვივდებოდა აფხაზური სეპარატიზმი. რა როლს ასრულებდა ამაში ზოგიერთი „ინტერნაციონალისტი“ რუსი მეცნიერი. დღეს ქალბატონი გულიკო მარნეულის რაიონის სოფელ ყაჩაღანის საშუალო სკოლაში აზერბაიჯანელი ეროვნების ბავშვებს ქართულ ენას ასწავლის.

ახლა მაინც...

ისტორიულ ლიტერატურაში ჩახედული კაცი, ბოლო ათეული წლების მანძილზე მოწმე ხდებოდა, თუ როგორ შეფარვით და თანდათან არღვევდნენ საქართველოს ერთიანობის საძირკველს ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ეთნოეკოლოგები“ (ბრჭყალები ჩემია).

სხვადასხვა სახით გამჟღავნებული ეთნოომი არასოდეს ჰკლებია ქართველობას, მაგრამ მათ შორის ყველაზე საშიში აღმოჩნდა ინტერნაციონალიზმის დროშით ამხედრებულთა ფარული შემოტევები. ურემი ჩვენივე ხელით გადაგვაბრუნებინეს... ქართლის შუაგული ოსეთად გვიქციეს, აფხაზეთი კი — დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. სამწუხაროდ, არა მგონია, რომ თუნდაც ახლა ღრმად გვქონდეს გააზრებული ფარული ეთნოომების მომაკვდინებელი საშიშროება.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიის ღრმად მცოდნენი ქართველებშიც კი თითებზე ჩამოსათვლელი იყვნენ და არიან დღესაც, აქ მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, საშუალო სკოლის საქართველოს ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს საშუალებას არ აძლევდა საფუძვლიანი მტკიცებებით დაერწმუნებინათ მოკამათე მხარე (ამ შემთხვევაში აფხაზები) ქართველთა და აფხაზთა წარმომავლობით ნათესაობაზე (ამ მხრივ უმცირესი გამონაკლისები, საქართველოს ხელისუფალთა სრული წაყრუების გამო, ამინდის სასიკეთოდ შეცვლას ვერ ახერხებდნენ) ხდებოდა კი პირიქით. ამ საკითხებზე აფხაზთა შორის საწინააღმდეგო მოსაზრებებს მყარად და ინტენსიურად ნერგავდნენ ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ეთნოეკოლოგები“.

ბოლო ათეული წლების მანძილზე მრავალმა ქართველმა დაიცვა სამეცნიერო ხარისხი ჰუმანიტარულ დარგებში, განსაკუთრებით რუსეთ-საქართველოს მრავალწახნაგა ურთიერთობის ეტაპებზე, მაგრამ აფხაზებისა და კოლხების წარმომავლობაზე, საკუთრივ ჰენიოხებზე, სანიგებსა და მისიმიელებზე კაპიტალური შრომები, ვფიქრობ, არ შექმნილა (და თუ შეიქმნა, ალბათ, ისეთი უსუსური, რომ მათ ჩირადაც არავინ აგდებს). ამ სფეროში დიდი ვაკუუმი უნდა გაჩენილიყო და იგი თანდათან ამოევსოთ სსრ კავშირის დიდ „ეთნოეკოლოგებს“. იმპერიული სულისკვეთების შესაბამისად — „ჩორნოე მორე მოიო!“.

1988 წელს გამოცემულ წიგნში „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“ (ქ. მოსკოვი) ზოგადი მინიშნებებია კოლხეთზე, მაგრამ არა როგორც ქართველთა წინაპარ სამყაროზე. კოლხეთი ჯერ კიდევ ყამირია, რომლის ბოლომდე ათვისება დიდ „ეთნოეკოლოგებს“ ჯერ არ დაუმთავრებიათ. დაწყებული კი აქვთ.

ქართველო ისტორიკოსებო, ენათმეცნიერებო, ეთნოგრაფებო და ერისკაცებო, რატომ არ გინდათ დაინახოთ კიბის ჩამტვრეული საფეხურები და არ ცდილობთ გაასწოროთ ისინი? რატომ არ ცდილობთ ნაპრალის გაჩენისთანავე ამოავსოთ იგი?

ჰოდა, თქვენ რომ არ ცდილობთ, თქვენს ნაცვლად სცადეს ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ეთნოეკოლოგებმა“ ჯგუფურად, ვორონოვის თამადობით და ერთიანი ძალით, გამიზნულად, ზოგი ქართველი ანთროპოლოგისა და მედიკოსის ჩაბმით. 1978-88 წლებში ფარული, მორიგი ეთნოომით შემოგვიტიეს, წინაპირობა შექმნეს ქართველთა და აფხაზთა შორის რეალური ომის გასაჩაღებლად.

მათი ორგანიზებული კვლევა-ძიების ძირითადი საგანი ვითომ აფხაზური მრავალწლიანობა (ხანდაზმულობა) იყო. ამ მუშაობის შედეგად გამოცემული წიგნის სათაურიც ასეთივეა „აფხაზთა ხანდაზმულობა“ (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1987 წელი, მოსკოვი). წიგნში მოცემული მთელი მონაკვლევი მასალა მიზნად ისახავს, რომ ყველას, განსაკუთრებით კი აფხაზთა გასაგონად, მეცნიერების მაღალი ტრიბუნიდან ჯგუფურად ეთქვათ „ჭეშმარიტება“: აფხაზ ფაჩალიებს, ჯინჯოლიებს, ლოგუებს და ა. შ. გენეტიკურად არაფერი აქვთ საერთო ქართველ თანამოგვარეებთან, იმის გარდა, რომ, როგორც ადამიანებს, საერთოდ, რაღაც მაინც აქვთ საერთოო.

ამ წიგნით საჭირო იყო შემდეგის მტკიცება:

„— აფხაზებს გენეტიკური სიახლოვე აკავშირებს ჩრდილოკავკასიელ ადიღეებთან. მაგრამ საქართველოსთან მრავალსაუკუნოვანი მეზობლობისა და უმჭიდროესი კულტურულ-ისტორიული კავშირების შედეგად მათ შეიძინეს რიგი ანთროპოლოგიური და კულტურული ნიშანთვისებანი, რომლებიც მათ ქართველ ხალხთან აახლოებს.

— ჩვენს ერამდე VI-V საუკუნეებში აფხაზეთის ტერიტორიაზე (აფხაზეთთან კონტექსტში „უნებლიედ“ გამორჩენიათ სიტყვა — „თანამედროვე — გ. უ.) გაჩნდა ბერძნული კოლონიები (ვფიქრობ, კოლხეთის ხსენებაც „უნებლიედ“ გამორჩათ — გ. უ.).

— IX-X საუკუნეებში აფხაზთა სამეფომ განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, მაგრამ X ს. მიწურულს მან დაკარგა დამოუკიდებლობა და დიდი ხნით ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა.

— მთავარი ძველაფხაზური ტომები არიან: აფშილები, აბაზგები, სანიგები“.

სანიგები, სანები, ზანები, მისიმიელები, ჰენიოხები... ასე ხელზე საბურთავებლად გადავცეთ ყველა იმათ, ვისაც კი ისინი კოლხური ყოფის ნგრევისა და თავიანთი ხელოვნური საძირკვლის ასაშენებლად დასჭირდებათ?

მართალია უსასტიკესი ჟამი გვიდგას, მაგრამ, ქართველო მეცნიერნო, ახლა მაინც ბოლომდე ჩამოაცალეთ ვარაუდები საქართველოს საძირკველში ჩადებულ ქვებს, განამტკიცეთ ისინი და განმტკიცდით თავად თქვენც. სხვათა ფარულ მეცნიერულ ეთნოომებს კვლავაც და კვლავაც ნუ ამოაწყვეტინებთ ქართველთა გენოფონდს.

გულიკო ურუშაძე.

ხსოვნა

ნატალია ყავრიშვილი-მალალაშვილისა

კიდევ ერთი მუსიკოსი გამოაკლდა თბილისის კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა რიგებს. გარდაიცვალა დოცენტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პიანისტი ნატალია მიხეილის ასული ყავრიშვილი-მალალაშვილისა.

ნატა ყავრიშვილმა ძალიან კარგი საფორტეპიანო სკოლა გაიარა ჯერ ცნობილ პროფესორ ე. აისბერგთან, ხოლო შემდეგ ანასტასია ვირსალაძესთან. კონსერვატორიის დამთავრებიდან დღევანდლამდე მას არ გაუწყვეტია კავშირი მუსიკასთან. მრავალი მოწაფე აღზარდა, რომლებიც მოღვაწეობდნენ მუსიკალური განათლების სფეროში. თვითონაც უკრავდა.

ძნელბედობაც გამოუვლია ავადსახსენებელი რეჟიმის წყალობით — ბავშვობა მშობლების გარეშე გაატარა... ნატა ყავრიშვილმა შექმნა შესანიშნავი ოჯახი — თბილისში ერთ-ერთი ცნობილი არტისტული ოჯახი.

ჩვენ გვახსოვს ნატა ყავრიშვილი — ფაქიზი მუსიკალური გემოვნებით დაჯილდოებული, მომხიბლავი, იუმორის გრძნობით აღსავსე. ასეთად დარჩება ჩვენს მეხსიერებაში და შევთხოვთ უფალს დაამკვიდროს იგი იქ, „სადაც მართალნი განისვენებენ“.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

ავთანდილ კეთილაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი სამეურნეო მუშაკი ავთანდილ ივანეს ძე კეთილაძე.

დაიბადა 1942 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1959 წლიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ეკონომიკური ცოდნით შეიარაღებული, აქტიურად ებმება ფართო საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში. ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები ახალგაზრდულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებში, ხოლო 1975 წლიდან ა. კეთილაძე ვაჭრობის სამინისტროს სისტემის უმნიშვნელოვანესი უბნების ხელმძღვანელად მუშაობდა. 1990 წლიდან იგი ცეკავშირის აპარატშია და უძღვებოდა ვაჭრობის მთავარ სამმართველოს, შემდეგ არჩეული იქნა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, სადაც მუშაობდა 1994 წლამდე. სამეურნეო საქმიანობას უხამებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — იყო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის დოცენტი.

ა. კეთილაძე გამოირჩეოდა თავმდაბლობით, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, იყო გულისხმიერი და ყურადღებიანი, კოლეგიალური და პრინციპული სპეციალისტი.

იყო კარგი მეოჯახე, მამა და ბაბუა. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრებსა და კოლეგებს შორის.

მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტის, ჩინებული მოქალაქის, უანგარო მეგობრის — ავთანდილ კეთილაძის ნათელ ხსოვნას პატივს მიაგებს სამომხმარებლო კოოპერაციის მრავალათასიანი კოლექტივი.

ცეკავშირის გამგეობა,
სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი.

ალექსანდრე კაკალაშვილი

გარდაიცვალა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ალექსანდრე (საშა) ნიკოლოზის ძე კაკალაშვილი.

დაიბადა 1920 წელს ქ. თბილისში. 1942 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1943 წელს — მოსკოვის სამხედრო-საარტილერიო აკადემია და ბოლომდე იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე.

დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა საავიაციო ტექნიკუმში პედაგოგად, ხოლო 1946 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კვების საწარმოთა მანქანა-მოწყობილობების კათედრაზე. გაიარა გზა უფროსი ლაბორანტიდან პროფესორამდე. 1959-1989 წლებში იყო ამ კათედრის გამგე. 1952 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1967 წელს სადოქტორო დისერტაცია. დიდია პროფესორ კაკალაშვილის ღვაწლი კვების მრეწველობის და განსაკუთრებით ჩაის მანქანების შექმნისა და მათი მეცნიერული თეორიის დამუშავების საქმეში. ყურძნის გადამუშავების ნაკადური ხაზის შექმნისათვის მას მიღებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია. იგი 180-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია. მიღებული აქვს 50-მდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე.

ალექსანდრე კაკალაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდობის აღზრდასა და ინჟინრებად ჩამოყალიბების საქმეშიც. საქართველოს კვების მრეწველობის თითქმის ყველა საწარმოში, საკონსტრუქტორო და სამეცნიერო ორგანიზაციებში შეხვდებით მის ყოფილ სტუდენტებს, რომლებიც მადლიერების გრძნობით იგონებენ თავიანთ მასწავლებელს.

ალექსანდრე კაკალაშვილის გარდაცვალებით დიდი მეცნიერი და პედაგოგი დააკლდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, კათედრას, მეგობრებს, თავის საყვარელ ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი; მექანიკა-მანქანათმშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი; კვებისა და სამაცივრო საწარმოთა მოწყობილობების კათედრა;

კიდევ ერთი ხანძრის გამო

ქაოსისა და განუკითხაობის ჟამს თავის მართლება ადვილია

18 აპრილს დედაქალაქის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე (№ 61) ხანძარი გაჩნდა.

ბანკ „კავკასიონის“ მცველმა, მორიგე-პოლიციელმა გივი ჩილინგარიშვილმა მტვრევის ხმა დაახლოებით დილის სამი საათისთვის გაიგო, სიბნელეში სანთლით მოახერხა ბანკის მასიურ კარში ჩაყენებული „თვალიდან“ გამოხედვა; ცეცხლი მოდიოდა და ღვივდებოდა სამხატვრო აკადემიის ოთახების მხრიდან. კავშირი ყველგან გამოთიშული იყო. ქუჩაში გამოსულმა ძლივს მიაგნო ტელეფონს და შემთხვევა ბანკების დაცვის ლეგიონს, მთაწმინდის რაიონის პოლიციისა და ამავე რაიონის საკუთრების დაცვის განყოფილებებს შეატყობინა...

ხანძარი ძლიერდებოდა, იწვოდა აბრეშუმის ყოფილი კომბინატის ჭერი. მეხანძრეებმა წარმატებით დაიწყეს ჩაქრობა, მაგრამ მანქანებში საწვავის ნაკლებობით, რაც აუცილებლად სჭირდება წყლის ქაჩვას, ბოლომდე ვერ მოახერხეს ეს. ცოტა ხანში ეს პრობლემა მოგვარდა და საქმესაც ეშველა.

— ჩვენმა ბიჭებმა ივაჟკაცეს, — გვითხრა ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოს უფროსის მოადგილემ თემურ აბზიანიძემ. — ექსპერტი ახლა შეუდგება მუშაობას, ისე კი, ხანძარი, ერთი შეხედვით, სამხატვრო აკადემიის კუთვნილი ოთახებიდან დაიწყო...

შემთხვევის ადგილზე ბანკ „კავკასიონის“ მმართველი იგორ ვარსიმაშვილი ვნახეთ:

— ხანძრის შედეგად მხოლოდ შენობა დაზიანდა და ინვენტარი დაიწვა, ბანკის საბუთებისა და სალაროს გადარჩენა მოხერხდა. ჩვენს ბანკს მეანაბრეები არ ჰყოლია. ასე რომ, არც მოსახლეობასა და არც ორგანიზაციებს არ უზარალიათ. მუშაობა არ შეგვიწყვეტია, დღესვე შეგვიძლია ოპერაციების გაგრძელება. დავზარალდი პირადად მე, რადგან ახლახან გავარემონტე ბანკი. უნდა გითხრათ: ამავე სართულზე განლაგებული სამხატვრო აკადემიის ოთახებში, სადაც ცეცხლის კერა აღმოცენდა, არსებული მდგომარეობის გამო დიდი ხანია პრეტენზიები გაგვიჩნდა, რის შესახებაც არაერთხელ მივმართეთ სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობას.

იქვე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი სოსო ქოიავაც ტრიალებდა. აი, რა გვითხრა მან:

— 1992 წელს, მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ეს შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია სამხატვრო აკადემიის მონუმენტურ და დეკორატიულ გამოყენებით ფაკულტეტს გადმოეცა. იგი თავიდანვე გაუმართავი იყო: სართულებს იატაკიც არ ჰქონდა, ბეტონისა გახლდათ. სახურავი ისეთი ავარიული (უფრო ზუსტად — გადახდილი) იყო, წვიმა შიგ ოთახში ჩამოდიოდა. კაპიტალური რემონტისათვის სახელმწიფოს კაპიკიც არ გამოუყვია, ფინანსთა სამინისტრომ შეთანხმებული 60 საშტატო ერთეულიდან ერთიც არ დაუშვა, არადა, აქ დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი: საამქროები საკლასო ოთახებად, აუდიტორიებად და კათედრებად უნდა გადაკეთდეს...

შენობის კეთილმოწყობის მიზნით, ვფიქრობთ, პირველი სართულის 500 კვადრატული მეტრი მონათესავე პროფილისთვის გადაგვეცა და მათ მიერ დამზადებული კარ-ფანჯარა ჩასასმელად გამოგვეყენებინა. შარშან სახელმწიფოსაგან ქაღალდზე გამოყოფილი 26 მილიარდი კუპონით, რომელსაც წლეულს პირველ კვარტალში მაინც ველოდებოდით, ვაპირებდით შენობა თუნუქით გადაგვეხურა. სტუდენტებს ლექციებისას, ფაქტობრივად, ბეტონზე უხდებოდათ ყოფნა, რაც მათ, კერძოდ, გოგონების ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებდა. ამიტომ ყოველგვარი მეცადინეობები შევწყვიტეთ და მიუხედავად დიდი სივიწროვისა, სამხატვრო აკადემიაში მეორე ცვლაში გადავიყვანეთ, ეს ადგილი კი, პოლიციამაც კარგად იცის, ახლა ნარკომანების ბუდედ იქცა.

რაც შეეხება ბანკს, ვეტყვით, რომ იგი ყოველთვის თავისი ინტერესებიდან გამოდიოდა. ჩვენ კი მასთან ცოტა სხვანაირი ურთიერთობა გვინდოდა, ვფიქრობდი, ცოტა მაინც შეგვეხიდებოდნენ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. აკადემია მხოლოდ ბიუჯეტზე ცხოვრობს, ეს იმის საშუალებებს არ იძლევა, რომ ვინმე ღამის მცველად დავიქირაოთ. ამიტომ შენობა, ფაქტობრივად უპატრონოდ რჩებოდა. საერთოდ კი გამოვყავით სადღეღამისო მორიგეობისათვის საშტატო ერთეული ჩვენივე ეკონომიის ხარჯზე, მაგრამ არავინ არ გაგვიჩერდა, ღამღამობით იქ შექმნილი მდგომარეობის გამო. ახლა ხომ ყველაფერი ნათელი გახდა..

ია კალანდარიშვილი.

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

მკურნალობა: ფასიანი თუ უფასო?

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმების შემდეგ, როგორი იქნება პოლიკლინიკების მუშაობა, ბინაზე ექიმის გამოძახებისთვის ფული უნდა გადავიხადოთ? და კიდევ: რა ღირება ბიულეტენი?

ქეთინო ბოჟორიშვილი.

თბილისი.

გვიპასუხებს თბილისის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე **ბივი კურტანიძე:**

პოლიკლინიკები, ჯერჯერობით, სამეურნეო ანგარიშზე არ არიან გადასული, ამიტომ ექიმის გამოძახებაც და მკურნალობაც უფასოა. ფასიანია მხოლოდ ლაბორატორიული გამოკვლევები, ისიც იმის გამო, რომ არა გვაქვს ლაბორატორიული გამოკვლევებისათვის საჭირო რეაქტივები და რენტგენოფირები.

პოლიკლინიკებში სპეციალური ანგარიშია გახსნილი და ამის მიხედვით ხდება გადახდა. უნდა გითხრათ, რომ ავადმყოფები პოლიკლინიკებში გაცილებით ნაკლებს იხდიან, ვიდრე სხვა სამკურნალო დაწესებულებებში. რაც შეეხება ბიულეტენს, მასში ძირითადად არ ვახდევინებთ, არც გარდაცვალების ცნობაზე ვახდევინებთ ფულს.

მაისიდან პოლიკლინიკები სამეურნეო ანგარიშზე გადავლენ და მაშინ სპეციალური პროგრამის მიხედვით განისაზღვრება, რომელ დაავადებაზე მკურნალობა იქნება ფასიანი და რომელზე არა.

ვერ ვიტყვით, რომ დღეს კალათბურთს საქართველოში საკმაო ყურადღებას არ აქცევენ. შეიძლება სპორტის ბევრ სახეობასთან შედარებით ათამამებენ კიდეც, მაგრამ ეს სიტყვები სამწუხაროდ მხოლოდ ვაჟთა კალათბურთზე ითქმის.

უდავოა, რომ დიდი ტრადიციების მქონე ქალთა საკალათბურთო სკოლასაც მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს საქართველოში, რომელთაც აინტერესებთ მისი წარმატება თუ წარუმატებლობა, სიახლეები და პრობლემები.

იმედი გვაქვს, ეს ინტერვიუ ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდის მთავარ მწვრთნელთან როლანდ ბელოვანთან დააინტერესებს სპორტის გულშემატკივრებს:

„ვემზადებით ევროპის ჩემპიონატისათვის“...

— ბატონო როლანდ, ზოგადად თქვენი გუნდის დღევანდელ დღეზე?

— ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდი ბოლო წლების მანძილზე საქართველოში პირველობას არავის უთმობს. მხოლოდ ქუთაისის გუნდი „მეობა“ თუ უწევს მეტოქეობას. რაც შეეხება ამ სეზონს, ჩავატარეთ სამი ტური. ამ ტურებში ჩატარებული შეხვედრებიდან მხოლოდ ერთი წავაგეთ. ამჟამად მეოთხე ტურისათვის ვემზადებით.

— გუნდში თქვენ მთავარ მწვრთნელად ახალი მოსული ხართ. მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება ამ პერიოდში?

— ჩემი გუნდში მოსვლის შემდეგ არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

— საშუალოდ რა ასაკის გოგონებით არის გუნდი დაკომპლექტებული?

— გუნდში თითქმის ყველა ასაკის გოგონა თამაშობს. გვყავს სამი მოთამაშე 30 წლამდე, რამდენიმე 25-26, ერთი-ორი 19-20 წლისა.

— თქვენი გუნდი ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე წელიწადია უკვე ლიდერად ითვლება. გყავთ თუ არა სპონსორი და აკმაყოფილებთ თუ არა სპორტსმენების მოთხოვნებს ნაწილობრივ მაინც?

— დიდ დახმარებას გვიწევს კლუბის პრეზიდენტი გივი პაპავა. მისი დახმარების გარეშე გუნდი აქამდე შეიძლება დაშლილიყო კიდეც. ასევე შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან სხვა ორგანიზაციებიც. ამით, ასე თუ ისე, ვაკმაყოფილებთ სპორტსმენების მოთხოვნებს.

— ეროვნულ ნაკრებში ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდიდან რამდენი გოგონა თამაშობს, რომელიმეს თამაშს თუ გამოყოფდით?

— ნაკრებში ჩვენგან შვიდი გოგონა თამაშობს. გუნდის ღირსებას იცავენ: ნინო სირაძე, თამარ ბუილიშვილი, ლია ქაჯაია... კონკრეტულად რომელიმეს თამაშის გამოყოფა მიჭირს.

— გყავთ თუ არა გუნდში ახალბედა კალათბურთელები, ვისზეც დიდ იმედს ამყარებთ?

— ჩვენ ასევე ვამზადებთ ახალგაზრდების გუნდს, რომელსაც სხვა მწვრთნელი ავარჯიშებს. ზოგჯერ ვათამაშებთ კიდეც ამ გუნდიდან რამდენიმეს. იმედი გვაქვს, ეს პატარა გოგონები ღირსეულად შეცვლიან ახლანდელ თაობას.

— რა განსხვავებაა ვაჟთა და ქალთა ეროვნული ჩემპიონატების ფორმულებს შორის?

— გოგონების ტურნირი ცოტა სხვაგვარი ფორმულით ეწყობა. ასპარეზობა იყოფა ტურებად. ტარდება 5 ტური და ამ ხუთ ტურში ვინც მეტ ქულას აგროვებს, ის იმარჯვებს კიდეც.

— არის თუ არა გოგონებში ისეთივე მონდომება, როგორიც ვაჟებში?

— ის ფაქტი, რომ ეროვნულ ჩემპიონატში სათამაშოდ ხუთამდე გუნდი ძლივს გროვდება, ნაწილობრივ მათ მონდომებაზეც აისახება. ამიტომ, დაინტერესება გოგონებთან უფრო ნაკლებია, ვიდრე ვაჟებთან, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად სპორტსმენები მაინც დიდი მონდომებით ვარჯიშობენ.

— რა შეჯიბრებები აქვს დაგეგმილი ნაკრებს უახლოეს მომავალში?

— ვემზადებით ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც ბელგიაში იწყება 21 მაისს. ასევე გვაქვს ბევრი მიწვევა სხვადასხვა ქვეყნებიდან. ვნახოთ, თუ ფინანსურმა პირობებმა ხელი შეგვიწყო, შეიძლება წავიდეთ.

— დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა
ხათუნა ჭუმბურიძე.

ასპარეზობენ სტუდენტები

მოჭადრაკეთა რესპუბლიკური — „უნივერსიადა-95“-ის ჩემპიონობა და თანატოლთა მსოფლიო უნივერსიადაზე თამაშის უფლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოიპოვეს. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები შესაბამისად სპორტის აკადემიისა (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებმა დაიკავეს.

მეორე ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თსუ-ს სოხუმის ფილიალი, სამხატვრო აკადემია და ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი...

როკსი

ფინალში ითამაშებენ...

ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგის ფინალში 24 მაისს ვენაში ერთმანეთს შეხვდებიან ამ ტურნირის ხუთგზისა და სამგზის გამარჯვებულნი იტალიის „მილანი“ და ჰოლანდიის „აიაქსი“. გთავაზობთ საპასუხო ნახევარფინალური მატჩების შედეგებს:

„მილანი“-2 (სავიჩევიჩი-2)-„პარი სენ-ჟერმენი“ 0 (პირველი მატჩი 1:0), „აიაქსი“ 5 (ლიტმანენი-2, ფინიდი, დე ბური, ოვერმარსი)-„ბაიერნი“ 2 (ვიტეჩეკი, შოლი. პირველი მატჩი 0:0).

უეფას თასის იტალიური ფინალი „იუვენტუსი“-„პარმა“ 3 და 17 მაისს გაიმართება. ნახევარფინალის მეორე რაუნდი ასე დამთავრდა: „პარმა“ 3 (ასპრილია-2, ძოლა)-„ლევერკუზენი“ 0(2:1), „ბორუსია“ 1 (ხულიო ცეზარი)-„იუვენტუსი“2 (პორინი, ბაჯო. 2:2). სხვათა შორის, ეს წყვილი — „იუვენტუსი“-„პარმა“ იტალიის თასის ფინალშიც გავიდა.

გუშინ...

ფეხბურთი. ეროვნული ჩემპიონატი, 28 ტური.

„ბათუმი“-„სამტრედია“ 3:1, „მარგვეთი“-„დინამო“ 0:1, „მეტალურგი“-„საპოვნელა“ 6:1, „ზუგდიდი“-„დურუჯი“ 3:0 (გამოუცხადებლობა).

კალათბურთი. ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, ფინალური ეტაპის მეორე ტური.

„აზოტი“-„თორსი“ 75:74, „კაქტუსი“-„მერანი“ 106:74, „ვიტა“-„დინამო“ 105:71.

ვლადიკავკაზის „სპარტაკი“ — ნახევარფინალში

რუსეთის თასის გათამაშების ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკის“, „დინამოსა“ და ვოლგოგრადის „როტორის“ მხარდამხარ იასპარეზებს ზაზა რევიშვილის, მურთაზ შელიას, ომარ თეთრაძისა და იოსებ გრიშიკაშვილის კლუბი ვლადიკავკაზის „სპარტაკიც“, რომელმაც მეოთხედფინალში სტუმრად ფარ-ხმალი დააყრევინა ქალაქ არზამასის გუნდს 3:0.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ხოზიაშვილი.
[illegible]